# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 20 ნოემბერი 2002 №221 (1743) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1:0 და დინამომ საქართველოს გადახედა

## შუშაკი ევროპულად აზროვნებს და აფასებს



დინამო — ლოკომოტივი. სტუმართა მეკარე გიორგი ლომაიას ჭაფა არ მოკლებია

თითქოს ძალიან იოლია: კარგი მინდორი, სავსე ტრიბუნები და ჩვენ საქართველოში, ეროვნულ პირველობაზე მივიღებთ იმ სანახაობას, რისთვისაც შაბათ-კვირასა და ჩემპიონთა ლიგის დღეებში გაფაციცებით ვუყურებთ ტელევიზორს — ევროპული დონის ფეხბურთს. სწორედ ასეთად შეაფასა ივო შუშაკმა გუშინდელი „დინამო" — „ლოკომოტივის" მატჩი და, კაცმა რომ თქვას, ეგრეც იყო.

მაგრამ ჩვენი უბედურებაც ისაა, რომ საქართველოს ჩემპიონატი მხოლოდ გუშინდელი „დინამო" — „ლოკომოტივი" არ არის და არც ისაა გასაკვირი, გულშემატკივარს მაინცდამაინც რომ არ მიუწევს სტადიონისკენ გული და რომ გაუწიოს, ჯერ ასეთი მატჩები უნდა მომრავლდეს.

გუშინდელი გადადებული თამაშით კი ოთხმატჩა თბილისური დერბების სერია დასრულდა, ცხრილმაც სრულყოფილი სახე მიიღო, ხოლო „დინამო" პირველ ადგილს დაუბრუნდა, რომელიც წინა ტურებში „ვიტ ჯორჯიასთან" და იმავ „ლოკომოტივთან" წაგების მერე „ტორპედოსთვის" გადაებარებინა.

# საქმე შკეთესებისკენ წავიდა

## ფრანს ფუტბოლმა საარჩევნო ბიულეტენები დაარიგა



რონალდო, კანი, ზიდანი: ამ სამიდან ერთს 17 დეკემბერს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელებენ

გუშინ ფრანგულმა „ფრანს ფუტბოლმა" ევროპის 52 ქვეყნის თითო სპორტული გამოცემის რედაქტორებს 50 ფეხბურთელის ჩამონათვალი გაუგზავნა, რედაქტორთა რჩეულს 17 დეკემბერს ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელად გამოაცხადებენ და „ფრანს ფუტბოლის" ოქროს ბურთს გადასცემენ.

საქართველოდან „ფრანს ფუტბოლის" პარტნიორი „სარბიელია".

50-ფეხბურთელიან სიაში, რომელთაგან გამოკითხვის თითოეულმა მონაწილემ „ფრანს ფუტბოლს" 5-5 რჩეულის სახელი უნდა გაუგზავნოს, ყველაზე მეტი, შვიდი ფეხბურთელი მადრიდის „რეალში" თამაშობს. ოთხ-ოთხი მოთამაშე ჰყავთ „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „მილანს".

წარმომავლობის მიხედვით ყველაზე მეტნი, რვა, ბრაზილიელები არიან, შვიდი ფრანგია, ხუთ-ხუთნიც ესპანელი და იტალიელი.

თოთხმეტი ფეხბურთელი პრიმერადივიზიონიდანაა, ათი პრემიერლიგიდან, ცხრაც სერია A-დან.

საერთოდ კი, მათი დალაგება უამრავი ნიშნით შეიძლება, მაგრამ ბოლოს, მოგეხსენებათ, მხოლოდ ერთი დარჩება.

იმავე დღეს, 17 დეკემბერს ფიფა დაასახელებს 2002 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელსაც, რომელსაც ეროვნულ გუნდთა მწვრთნელები ირჩევენ. აქ ყველაფერი უფრო მარტივადაა და სამი საუკეთესო უკვე ცნობილია: ზინედინ ზიდანი, ოლივერ კანი და რონალდო. საუკეთესო ამათ შორისაა.

იხილეთ მერვე გვერდი

# მოდებაძეს თბილისში ცსკა დაახვედრეს

## ცხვირწინ ცხვირის ოპერაციაა



ოქტომბრის ბოლოს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარა. გადამწყვეტი უკრაინელებთან მატჩი გამოდგა, რომელშიც ერთ-ერთი გამორჩეული 17 წლის **ირაკლი მოდებაძე** გახლდათ. მისი თავგამოდება იოლი ასახსნელი იყო, იგი ხომ უკრაინულ ზაპოროჟიეს „მეტალურგში" თამაშობს და განსაკუთრებულად სურდა ნაცნობ ფეხბურთელთათვის თავისი შესაძლებლობების დამტკიცება.

ასაკის გათვალისწინებით მოდებაძე ერთ-ერთი გამორჩეულია კლუბშიც. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის ჩემპიონატის პირველ წრეში სულ ექვს მატჩში ითამაშა და ორი გოლი გაიტანა, მას პერსპექტიულ, ნიჭიერ ფეხბურთელად თვლიან და კარგ საფეხბურთო კარიერასაც უწინასწარმეტყველებენ. უეფას თასზე „ლიდსისთვის" გოლის გამტანი ყმაწვილი შემტევი უკრაინულ მედიასაც განებივრებული ჰყავს, ზაპოროჟიეში არცთუ იშვიათად იბეჭდება მოდებაძესთან ინტერვიუები.

ცოტა ხნის წინ უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდა. გუნდებმა ფეხბურთელები შვებულებაში გაუშვეს. მოდებაძეც ორიოდე დღის წინ თბილისში დაბრუნდა, მანამდე კი „მეტალურგის" საინტერნეტო გვერდზე ზაპოროჟიელებს კლუბისადმი ერთგულებას შეჰპირდა, მომწონს ჩემი გუნდი, აქ თამაში მსურს და, იმედი მაქვს, გუნდში საფუძვლიანად დავმკვიდრდები. მოდებაძეს „მეტალურგთან" ერთს პლუს ერთწლიანი კონტრაქტი აქვს დადებული, ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 თვე გავიდა და მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელს უკრაინელთა ერთგულება აქვს გულსამოჭრილი, შესაძლოა, ქართველი თავდამსხმელი ახალი წლიდან სხვა გუნდში ვიხილოთ. თბილისში დაბრუნებულ ფეხბურთელს მაცდური ინფორმაცია დახვდა — მოდებაძით გაზაფხის ცსკა-ა დაინტერესებული. ეს ინფორმაცია გუშინ უკრაინულმა სააგენტოებმა გაავრცელეს და, ბუნებრივია, ირაკლისთან ინტერვიუც ამით დავიწყეთ.

**— ალბათ, იცი, შენით ცსკა დაინტერესდა.**

— პირველად მესმის. მოხარული ვარ, თუ ასეა, მე ვიცოდი, რომ „სპარტაკს" სურდა ჩემი გადაბირება.

**— ეს „მეტალურგის" ხელმძღვანელებმა გითხრეს?**

— დიახ, როდესაც მოსკოველებმა ჩემს მიმართ ინტერესი გამოიჩინეს, კლუბმა დაუყოვნებლივ მაცნობა. ამ შემთხვევაშიც ასე იქნებოდა, როგორც ჩანს, ზაპოროჟიედან ჩემი წამოსვლის შემდეგ გაჩნდა ცსკა-ს ვარიანტი, ამიტომაც არ ვიცი ამის შესახებ არაფერი.

**— 19-წლამდელთა ნაკრებში გამოძახებულს რამდენიმე ქართული კლუბის ხელმძღვანელებიც დაგიკავშირდნენ...**

— გუნდებს ვერ დავასახელებ, მაგრამ საქართველოში თამაშის წინადადებით ნამდვილად მომმართეს, თუმცა უარი ვუთქვი. მირჩევნია, უკრაინაში ჩამოვყალიბდე ფეხბურთელად.

**— „სპარტაკმა" ან ცსკა-მ თუ მოინდომეს შენი გადაბირება?**

— ჯერ ალბათ, ნაადრევია ამაზე საუბარი. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს ზაპოროჟიეში დარჩენის. ჯერაც ბევრი უნდა ვისწავლო, ამიტომ პრაქტიკა მჭირდება. „სპარტაკში" ან ცსკა-ში კი ნაკლებად მექნება ამის შანსი. ვნახოთ, რა იქნება, სამ დეკემბრამდე არდადეგები მაქვს, მერე უკრაინაში დავბრუნდები, შევხვდები კლუბის ხელმძღვანელებს და ჩემს მომავალზე დავილაპარაკებთ. ისე, ნებისმიერ შემთხვევაში მარტის ბოლომდე ზაპოროჟიეში დავრჩები, სწორედ მაშინ მიმთავრდება კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი.



ირაკლი მოდებაძემ (№11) საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში რუსთა წინააღმდეგ ითამაშა

**— მოკლედ, ისვენებ და ისევ ფეხბურთზე ფიქრობ...**

— გამოგიტყდები, ახლა ცხვირზე უფრო ვფიქრობ.

**— ცხვირზე?**

— ჰო, საოპერაციო ვარ, რამდენიმე დღეში ცხვირის ოპერაციას გავიკეთებ. უკრაინაში წასვლამდე ბურთი მომხვდა ცხვირში და გამიტყდა, თუმცა მაშინ ოპერაცია არ მოხერხდა.

**— გამოდის, შვებულება ჩაგივარდა...**

— სამ დეკემბერს ზაპოროჟიეში უნდა ვიყო, შეკრება გვეწყება, მაგრამ მწვრთნელი დამპირდა, საახალწლოდ ორი კვირით სახლში გაგიშვებო. ჰოდა, მეც მაშინ დავისვენებ.

**— „მეტალურგი" პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილში მე-15 ადგილზეა და გავარდნის კანდიდატია. არადა, წინა ჩემპიონატის შედეგით წლეულს უეფას თასზეც ითამაშეთ. ასეთი კონტრასტი მოულოდნელია...**

— ჩავარდნები გვქონდა, მაგრამ ლიგიდან გავარდნას ნაღდად არ ვიმსახურებთ, იმედი მაქვს, გაზაფხულიდან ყველაფერი გამოსწორდება და გუნდი ისევ ფეხზე დადგება.

**ბაატა ძვანტალიანი**

| ინგლისი |
| --- |
| მესამე დივიზიონი |
| გადადებული მატჩი |
| ტორკი 2:2 კიდერმინსტერი |

| ჰოლანდია |
| --- |
| მეორე დივიზიონი |
| გადადებული მატჩი |
| იგლსი 2:3 დენ ბოსხი |

| ამხანაგური მატჩი |
| --- |
| სამხრეთ აფრიკა 1:1 სენეგალი |

| ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი |
| --- |
| მესამე ტური. 19 ნოემბერი |
| I ჯგუფი |
| კვიპროსი 2:0 მალტა |
| IX ჯგუფი |
| აზერბაიჯანი 0:1 უელსი |

| შვეიცარია |
| --- |
| B ჯგუფი. გადადებული მატჩი |
| ლოზანა — ბადენი დღეს გაიმართება |

24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.

ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186

# იმედაძე ფეხს ისევ ქუთაისში აიდგამს

ნიჭიერი, ათლეტური ფორვარდი გამოზარდეს ქუთაისელებმაო, ამბობდნენ მაშინ ქართულ საფეხბურთო წრეებში და ახალგაზრდა ტორპედოელი გიორგი იმედაძე თავიდან ამართლებდა კიდეც იმედებს.

ცოტა ხნს იმერულ კლუბში შედეგიანად წაიბურთავა, ტიტულები მოიხვეჭა, მწვრთნელებმაც დაუფასეს, ახალგაზრდულ ნაკრებში ხომ მიიწვიეს, ეროვნული გუნდის მაშინდელ თავკაცს იოჰან ბოსკამპის თვალთახედვის არეშიც მოექცა.

ეგ იყო და, ჯერაც ჩამოუყალიბებელი და დაულვინებელი მოთამაშე უცხოეთის გზას გაუყენეს. ერთხანს უკრაინულ „დინამოში" ვარჯიშობდა, თითქოს ვალერი ლობანოვსკიმაც შეხედა მოწყალე თვალით, მაგრამ რატომღაც არ შედგა ქუთაისურ-უკრაინული ტრანსფერი. იმედაძე „ტორპედოში" დაბრუნდა, ითამაშა, ტრავმები მოიშუშა და მეორე ცდაზე რუსულ პრემიერლიგას მიაკითხა.

ჩვენებურის მსურველი, რა თქმა უნდა, ვლადიკავკაზის „ალანია" და მისი თავკაცი ვლადიმერ მუნტიანი იყვნენ. იმედაძე სტაბილურად ათამაშდა, სადებიუტო ტურებში ორი გოლიც მიითვალა, მაგრამ „ალანია" თამაშს თამაშზე აგებდა და კლუბის ხელმძღვანელებმაც ხელი დაუქნიეს მუნტიანს.

ახალი მწვრთნელები, განსხვავებული სავარჯიშო და სათამაშო მონახაზი, ამასთან შესაგუებლად იმედაძეს დრო, ფაქტობრივად, არც ჰქონია, გიორგი დაშავდა და მკურნალთა ხელში რამდენიმე კვირაც გაატარა.

გუნდში მობრუნებულს კი მწვრთნელებთან კონფლიქტი მოუვიდა და კლუბმაც ჩვენებური ტრანსფერზე დააყენა. მას აქეთ იმედაძე უთამაშებელი იყო, საქართველოში დაბრუნებული ინდივიდუალურად ვარჯიშობდა.

რუსული პრემიერლიგის წლევანდელი სეზონი „ალანიასთვის" მშვიდობიანად დასრულდა. ოსურმა კლუბმა ლიგაში ადგილი ისევ ქართველების, აშვეთიასა და დემეტრაძის ძალისხმევით შეინარჩუნა. ეტყობა, ვლადიკავკაზელები მიღწეულმა კარგ ხასიათზე დააყენა და ისე გამოდის, იმედაძესაც ეშველა.

სადღეისოდ გიორგი ქუთაისში ალექსანდრ შტელინის მითითებით ვარჯიშობს. „ტორპედომ" კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას თხოვნით მიმართა, რუსეთის საფეხბურთო კავშირიდან იმედაძის სატრანსფერო ფურცელი გამოითხოვეთო.

„ტორპედოს" მესვეურთა განცხადებით, „ალანია" თანახმაა, იმედაძე განათხოვრებით დააბრუნოს ყოფილ გუნდში და დღეს-ხვალ მოსკოვიდან სატრანსფერო ფურცელსაც ელიან. გიორგი საჩემპიონო ბრძოლაში მშობლიურ კლუბს შეეშველება, მერე იქნებ სხვა ქვეყნის ჩემპიონატშიც მოსინჯოს ძალა. რა თქმა უნდა, თუ „ალანიამ" დასტური განაცხადა, მასთან ხომ იმედაძეს კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

**გამუკა ძვანტალიანი**



გიორგი იმედაძე (მარცხნივ) სავარაუდოდ მალხაზ ასათიანის თანაგუნდელი გახდება

საქართველოს უმაღლესი ლიგა პირველი 14 ჩემპიონატი ლიგა ეტაპი

5 ტური

გადადებული მატჩი

# სვე-ბედის გენერლები: ახლა დინამოს ჯერია

## შუშაკმა საქართველო ევროპას დაატოვლა



მსაჯთა უსტაბაშ ანატოლი მილჩენკოსთან საქმის გარჩევა რკინიგზელთაგან ზაზა ჯანაშიამ ითავა

დავით თავართქილაძე

**ალალი იქნებოდა**, ხალხი „ერონულზე" მისულიყო და ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ბობოლათა ბრძოლა ეხილა.

ცხადია, ხმამაღლა და თამამადაა ნათქვამი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ღრმა აზრებს, თუ სიტყვა ბასრად ჭრის — თამაშს ის ხიბლი აკლდა, რომ ოდენ ორი ათას კაცამდე უყურებდა მას.

კარგი გუნდია „ლოკომოტივი". ლუის ცაკარიასის ხელში სათამაშო დისციპლინა მოსჭარბებია და გაცილებით კომპაქტური გუნდი ჩანს.

მაგრამ გუშინ „დინამოს" დღე იყო. შუშაკელებმა კიდევ ერთხელ გვიჩვენეს, რომ მათნაირად საქართველოში არავის შეუძლია თამაშის გაშლა და სწრაფი კომბინაციების გათამაშება. „დინამო" ამას მომენტებში, ეპიზოდურად ახერხებდა, მაგრამ ეს ხომ მისი დღევანდელი სახეა.

თვითმყოფადობისთვის „ლოკომოტივიც" ილტვის — წინ ზაზა ჯანაშიამ იბრძოლოს ლომივით, მის უკან რატაელ გალიარდომ ოსტატურად დაამუშაოს ბურთი და ჩინებული მოკლე პასი გააზერხოს, გოლის გატანისთვის აუცილებლად სირაძემაც იღვაწოს, ხოლო გივი კვარაცხელია გუნდის მოტორი იყოს. კიდევ, მურთაზ ბურნაძის ყოჩაღობა და გიორგი ბალაშვილის გამოცდილებაა „ლოკომოტივი".

გამოგვრჩა გიორგი ლომაია, თუმც მის ჩუბინობაზე მერე მოგახსენებთ.

ბოლო დროს ეფექტური თამაშით არ გამოირჩევა „დინამოს" საყრდენი ალეკო გოგობერიშვილი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით — პირველ ტაიმში მოედნის ცენტრში რომ „დინამო" ბატონობდა, ამაში ალეკოს წვლილი უდიდესია.

და საერთოდ, დინამოელები იოლად უახლოვდებოდნენ „ლოკომოტივის" საჯარიმოს მისადგომებს, მაგრამ მერე კი უჭირდათ — თუ კარგი ფორვარდი გყავს და ისიც საუკეთესო ფორმაში, ეს გუნდისთვის ფასდაუდებელი ფაქტორია.

...ამისულაშვილის პასით რატი ალექსიძეს სივრცე შეექმნა, დაარტყა და ლომაიამ კუთხურზე გადააგდო ბურთი.

გალიარდოს მიერ ჩაწოდებულ ჯარიმას ჯანაშიამ წაკრა თავი და ბურთმა ისე ჩაუფრინა „დინამოს" კარს, რომ ირაკლი ზოიძემ და მცველებმა ოდენ თვალი გააყოლეს.

შემდეგ ჯანაშიამ ჰაერში შემართულმა ფეხით მოინდომა გატანა, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში მეღგრად მოთამაშე ოთარ ხიზანეიშვილი გადაეფარა დარტყმულს.

მერე გალიარდომ შორიდან და ოდნავ არაზუსტად გაისროლა.

„დინამოს" ჯერიც დადგა — ჯერ ანჩაბაძეს გაუცუდდა თავური, რასაც მალე მატჩის ულამაზესი ეპიზოდი მოჰყვა — ანჩაბაძის გრძელი პასი, ალექსიძემ მაღალი ბურთი მოიგო და ჩინებულად დაუგდო ის სვლაზე ვიტალი დარასელიას, რომლის უძლიერესი ცაცია ლომაიამ მოიგერია კუთხურზე.

ასეთი ეპიზოდი „ლოკომოტივს" არ შეუქმნია და თუ ლოგიკაზე მიდგა საქმე, „დინამო" ამადაც იყო გუშინ გამარჯვების ღირსი.

თორემ გასატანი „ლოკომოტივსაც" ჰქონდა — სირაძემ კარიდან გამოსულ ზოიძეს დაასწრო და ერთი შეხებით განიზრახა ბურთის კარში შეგდება, თუმც მაღალი ბურთი მინდორზე დაეშვა და ხარიხას გადაევლო.

შესვენების შემდეგ ოთხი წუთი იყო გასული, გოლი რომ გავიდა — მარცხნიდან ლადო ბურდულმა ჩააწოდა კარის გასწვრივ და ლაშა სალუქვაძეს საკუთარ კარში ჩაეჭრა ბურთი.

გოლმა „დინამო" თითქოს დაადინჯა, არც დაცვაში ჩადგა და არც შმაგად უტევდა.

გუნდებმა სახიფათო მომენტები შორეულ დარტყმებით გაცვალეს, ხოლო ტაიმის შუაში „ლოკომოტივმა" უფრო მძლავრად ითამაშა.

ბალაშვილის ჯარიმას საჰაერო ბრძოლა მოჰყვა და ბურთი კვარაცხელიას მოუვიდა, რომელმაც საშინელი ძალით დაარტყა — ბურთი ხარიხას მოხვდა, მიწიდან არეკნილის დამორჩილება ზოიძემ სცადა, მაგრამ ალეკო კაიდარაშვილმა დაასწრო და თავით შეაგდო — გვერდითმა მსაჯმა ლევან მიქელაძემ და არბიტრმაც თამაშგარე დააფიქსირეს.

თქმა არ უნდა, ლოკომოტიველები აღშფოთდნენ, ლუის ცაკარიასი კი ლამის მიქელაძეს მიეჭრა.

რკინიგზელთა გუნდმა მორიგი არჩათვლილიც გაიტანა — ბურთი ერთ-ერთ ლოკომოტიველს ხელზე მოხვდა და სირაძემ მსაჯის სასტვენის მერე შეაგდო ბურთი კარში.

„ლოკომოტივს" კიდევ ორჯერ მიეცა გათანაბრების შანსი — ბალაშვილმა ჩინებულად დაუგორა „დინამოს" საჯარიმოში მცველთაგან უმეთვალყურეოდ დარჩენილ გალიარდოს, მაგრამ პერუელმა ძალიან უხეიროდ დაარტყა.

ბოლო წამებზე კი სირაძემ მოინადირა ჯარიმა, რომელიც მანვე დაარტყა, მაგრამ საკმაოდ ახლოდან, თექვსმეტიოდე მეტრიდან ხარიხას გადაავლო ბურთი.

**ლუის ცაკარიასი:** ძალიან დაძაბული, სანახაობრივად კარგი თამაში გამოდგა. დრო მჭირდება ამ მარცხის გასანაალიზებლად. რაც შეეხება პირველ არჩათვლილ გოლს, მსგავსი საეჭვო სიტუაციები მსოფლიოს ჩემპიონატებზეც კი ხდება. იყო თუ არა თამაშგარე, ამის გადაჭრით მტკიცება ახლა არ შემიძლია.

გუნდის თამაშით კმყოფილი ვარ, მათ შორის ჯანაშიასიც — მან რაც შეძლო, გააკეთა და მხოლოდ იმიტომ შევცვალე, რომ წინ უფრო მეტი სისწრაფე გვჭირდებოდა. ორივე არჩათვლილ გოლში კაიდარაშვილმა და გონსალესმაც მიიღეს მონაწილეობა.

**იფო შუშკა:** ვფიქრობ, ერთ-ერთი შესანიშნავი მატჩი იყო. უფრო მეტი გულშემატკივარი რომ მოსულიყო და მინდვრის საფარსაც ხელი შეეწყო, წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონატების დარ თამაშს ვიხილავდით. კი ამბობენ, საქართველოს ჩემპიონატის დონე დაბალიაო, მაგრამ ამ მატჩმა საპირისპირო გვიჩვენა.

„ლოკომოტივთან" გასვლაზე ჩვენი მცველების ერთი შეცდომის გამო წავაგეთ, ახლა კი ბურდულის კარგ ჩაწოდებულზე მეტოქე ვაიძულეთ, შემცდარიყო. ძალიან გახარებული ვარ — ამ გამარჯვებით ლიდერობა დავიბრუნეთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 14 | 1 | 2 | 40:5 | 43 |
| ტორპედო | 17 | 13 | 2 | 2 | 37:11 | 41 |
| ლოკომოტივი | 17 | 12 | 1 | 4 | 29:9 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 12 | 1 | 4 | 29:11 | 37 |
| სიონი | 17 | 8 | 2 | 7 | 23:22 | 26 |
| კოლხეთი | 17 | 7 | 2 | 8 | 19:27 | 23 |
| მერანი | 17 | 5 | 3 | 9 | 19:30 | 18 |
| მეტალურგი | 17 | 5 | 1 | 11 | 10:35 | 16 |
| ბათუმი | 17 | 3 | 5 | 9 | 12:23 | 14 |
| გორდა | 17 | 4 | 0 | 13 | 15:31 | 12 |
| დილა | 17 | 3 | 3 | 11 | 9:24 | 12 |
| მილანი | 17 | 3 | 3 | 11 | 9:30 | 12 |

**პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩაეთვალათ 0:3 წაგება**
**მეცხრე ტურში „მეტალურგს" „ვიტ ჯორჯიასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3**
**მეთორმეტე ტურში „მერანს" „გორდასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3**
**მეთხუთმეტე ტურში „მეტალურგს" „ტორპედოსთან" ჩაეთვალა წაგება 0:3**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 11 - იონანიძე | ტორპედო |
| 10 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 9 - დარასელია | დინამო |
| 8 - შაშიაშვილი | სიონი |
| 7 - გოდერძიშვილი | სიონი |

თბილისი. 19 ნოემბერი. 15 საათი. ორი ათასი. 2 000 (ტევადობა 70 900)

## დინამო 1:0 ლოკომოტივი

10 სალუქვაძე (49, ავ.)

**დინამო:** ზოიძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, კანდელაკი, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე (გ. ვ. მიქაძე 78), დარასელია, ალექსიძე (ვაშაკიძე 87)
სათადარიგონი: გვარამაძე, სახვაძე, ბობოხიძე, მაზიაშვილი, ი. სამხარაძე
მწვრთნელი: იფო შუშკა

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, გ. ონიანი (კაიდარაშვილი 51), მ. ბურნაძე, სირაძე, კვარაცხელია, გალიარდო, ტიტველიშვილი, ჯანაშია (გონსალესი 58)
სათადარიგონი: ბობიაშვილი, რ. ონიანი, გოგიაშვილი, გილაური, სოხელია
მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი

გაფრთხილება: ტიტველიშვილი (32), ბალაშვილი (79)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. მჟავანაძე, ა. ბეშკოვი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ჯარიმა: 17-14; კუთხური: 6-7; კარისკენ დარტყმა: 5-9; კარში დარტყმა: 6-1; თამაშგარე: 0-2

### მატჩის ერთადერთი გოლი ასე გავიდა



დინამოელმა ლადო ბურდულმა ჩააწოდა...



– და ლაშა სალუქვაძემ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა



უნებლიედ შემცდარი თანაგუნდელი პირველმა გიორგი ლომაიამ ანუგეშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იაშვილმა ძალა დაკარგა

## ქართველი თავდამსხმელი მარჯვნიდან მარცხნივ მკურნალობს



**საქართველოს ნაკრებისა და გერმანული „ფრაიბურგის" თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილი კვლავ ტრავმირებულია — მას კუნთი აქვს განყვეტილი.**

**12 ოქტომბერს თბილისში რუსეთის ნაკრებთან ჩატარებული ერთი ტაიმის შემდეგ იაშვილს აღარ უთამაშია. გერმანიაში დაბრუნებულს მარცხენა ფეხის კუნთმა უმტყუნა და ერთი თვე დაასვენა. წინა შაბათს კი „ფიურტთან" სათამაშოდ გამზადებულს მარჯვენა ბარძაყის კუნთი გაუწყდა და უკეთეს შემთხვევაში, „ფრაიბურგს" მეორე ბუნდესლიგის ბოლო ორ მატჩში თუ დაეხმარება. აგვისტოდან მოყოლებული იაშვილს ორჯერ მარცხენა ბარძაყი დაუშავდა, ორჯერაც — მარჯვენა, სულ კი მიმდინარე სეზონში ქართველმა ფორვარდმა ოთხჯერ ითამაშა**

— ძალიან განვიცდი. როცა ტრავმა მოშუშებული მეგონა და „ფიურტთან" სათამაშოდ ვემზადებოდი, მატჩის წინ ისევ კუნთი გამიწყდა, მარცხენა ფეხზე რომ ვიმკურნალე, ახლა მარჯვენამ შემაწუხა. არადა, გაათმაგებული ენერგიით განვაახლე ვარჯიში, მწვრთნელი კმაყოფილი იყო და ძირითად შემადგენლობაში ადგილსაც დამპირდა, მაგრამ თამაში ველარ შევძელი — გვითხრა ალექსანდრე იაშვილმა გუშინ, როცა ფრაიბურგში დავუკავშირდით.

ფეხბურთელისთვის უიღბლო პერიოდი საქართველო — სამხრეთ აფრიკის მარტში ჩატარებული ამხანაგური მატჩიდან დაიწყო. იმ შეხვედრაში, მოგეხსენებათ, იაშვილი ტრავმის გამო შეცვალეს. მაშინ მკურნალობამ კარგა ხანი წაიღო, ფორვარდი სრულფასოვან ვარჯიშს სეზონის ბოლოსკენ შეუდგა და ერთი მატჩის ჩატარებაღა შეძლო.

— სამხრეთ აფრიკასთან მყესი გამიწყდა. ეს ფრაიბურგში დაბრუნებულმა შევიტყვე. თვენახევარი გამიცდა, ვიფიქრე, რომ მოვმჯობინდი, მწვრთნელმაც ასე ჩათვალა და ვითამაშე. თურმე ვიჩქარეთ, კუნთმა ერთბაშად დატვირთვას ვერ გაუძლო და რამდენიმე დღეში ისევ ექიმების ხელში აღმოვჩნდი. მას შემდეგ ასეა, შაბათს მეოთხედ გამიწყდა კუნთი.

— ექიმები რას ამბობენ?

— გუშინწინ გამოკვლევაზე ვიყავი, საგულდაგულოდ შემამოწმეს და აღმოჩნდა, რომ კუნთებში ძალა 30 პროცენტით დაკლებული მაქვს. კუნთებმა ჩვეულებრივ, უკვე შეგუებულ დატვირთვას ველარ გაუძლო. ახლა სპეციალური, აღდგენითი პროცედურები დამინიშნეს, ფიზიკურადაც ვვარჯიშობ, თუმცა მკაცრად განსაზღვრული გრაფიკით. თავისთავად გაწყვეტილი კუნთის აღდგენას ორი-სამი კვირა სჭირდება, მაგრამ სხვა უფრო მადარდებს — ძალა. ექიმები მაიმედებენ, ახალ წლამდე მოლონიერდები და თამაშსაც შეძლებო. ვფიქრობ, პირველ წრის ბოლოს გუნდს დავუბრუნდები — ამბობს ალექსანდრე იაშვილი.

„ფრაიბურგი" კი ნელ-ნელა ბუნდესლიგისკენ მიიწევს. წინა ტურში გიორგი დეკანოსიძის „ფიურტთან" შინ ფრედ კი ითამაშეს, მაგრამ დაკარგული ორი ქულა მათ მონაგარს დიდად არც დასტყობია და, იაშვილის თქმით, სეზონს გეგმის მიხედვით მიჰყვებიან. სადღეისოდ „ფრაიბურგი" მეორე ადგილზეა და ლიდერ „კიოლნს", რომელსაც მეორე წრიდან ალბათ არჩილ არველაძე შეუერთდება, ქულით ჩამორჩება.

**ძოგა ინასარიძე**



ალექსანდრე იაშვილმა სამხრეთ აფრიკასთან მატჩის მერე ფეხი ხეირიანად ველარ გამართა

ბაჩანა ძიძიშვილის ფოტო

# გერმანიაში თხებს დასდევენ, შოტლანდიაში ფლავს ჭამენ

**ინებეთ,** კიდევ ერთი მშრალი ტური „ევროპელი" ქართველებისთვის. ჩვენებურებმა ბევრით ვერაფრით გამოიჩინეს თავი. სამმა „ქართულმა" გუნდმა კი სულაც ამ უქმეებზე დაკარგა ლიდერობა. მივყვეთ თანმიმდევრობით:

„ფრაიბურგმა" და „ფიურტმა" თითო გოლი გაუტანეს ერთმანეთს და მშვიდობიანადაც გაიყარნენ. თუმცა ამ „მშვიდობამ" მასპინძლები „თხებს" აადევნა — პირველი ადგილი არჩილ არველაძის „კიოლნმა" იგდო ხელთ.

ფოლკერ ფინკემ ძირითად შემადგენლობაში ცქიტიშვილ-კობიაშვილის დუეტი ათამაშა. მათაც მოედანზე სრულად დაჰყვეს. „ფიურტის" ქართველი ნახევარმცველი გიორგი დეკანოსიძე კი სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თამაშს თვალს.

შოტლანდიაში ორთვიანი ზეობის შემდეგ „რეინჯერსმა" პირველობა დათმო. შოთა არველაძის თანაგუნდელები ჯერ იგებდნენ, მერე აგებდნენ და საბოლოოდ ფრესლა დასჯერდნენ სტუმრად „აბერდინთან". ეს ის „აბერდინია", ორიოდ ტურის წინ „სელტიკმა" 7:0 რომ გაანადგურა. ახლა კი პირველ ადგილზე სწორედ რეინჯერთა მოსისხლე მტერი იწონებს თავს.

ხიზანიშვილ-ნემსაძის „დანდი" კვლავ ჩაფლავდა. დანდელებმა ვერაფერი მოუხერხეს „ჰიბერნიანს" და ექვსეულსაც დაშორდნენ. ქართველებს თავი დიდად არაფრით გამოუჩენიათ.

ჰოლანდიაში კი „აიაქსი" გალიდერდა. მწვრთნელთან უბრად მყოფი გოგა გახოკიძის გარეშე მოთამაშე „პსვ ეინდჰოვენმა" საკუთარი ხელითვე გამოიქრა ყელი — შინ დამარცხდა „ფეიენოორდთან" და ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატშიც აერია საქმეები.

რუსული პრემიერლიგა კი ქართველთათვის უკვე დასრულდა. მთელი რუსეთი „ოქროს მატჩის" მოლოდინშია, თუმცა იქ ჩვენებურებს არაფერი ესაქმებათ. აშვეთია-დემეტრაძის „ალანიამ" ბოლო ტურშიც წააგო „როტორთან", არადა, მიხეილ აშვეთიას შეეძლო, მატჩი სხვა ანგარიშით დაესრულებინა — 83-ე წუთზე პენალტი გააცუდა.

კახა მჟავანაძის „ანჟი" კი პრემიერლიგას დაემშვიდობა და მომავალ სეზონს პირველ დივიზიონში გაატარებს.

მიხეილ ყაველაშვილი ევროპული დონის კრეკტ „ბაზელს" ეომა და ფრესაც გამოჰკრა ხელი. ისე, „ლუცერნს" მოგებაც შეეძლო, მაგრამ ბოლო წუთებზე სტუმართა ზეწოლას ვერ გაუძლო.

კახა კალაძის „მილანმა" ორი პენალტით აჯობა „პარმას" და მცირე ჩავარდნის შემდეგ ხასიათი გამოიკეთა. კალაძემ სრულად ითამაშა და გაფრთხილებაც მიიღო. „მილანი" კი ისევ მესამეა.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **იტალია. სერია A** | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | პარმა 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 9 | 0 | 3 |
| | | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ფიურტი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 0 | 2 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ფიურტი 1:1 | 90 | | 13 | 4 | 2 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ფიურტი 1:1 | 90 | | 12 | 0 | 2 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | ფიურტი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | ფიურტი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ზანქტ პაული 3:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | ფრაიბურგი 1:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 7 |
| | | | **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | კერნტენი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 2 | 3 |
| | | | **ინგლისი. I დივიზიონი** | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | ს | ბრაიტონი 0:1 | 90 | | 11 | 1 | 14 |
| | | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | აბერდინი 2:2 | 90 | | 12 | 6 | 2 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | ჰიბერნიანი 1:2 | 90 | | 11 | 0 | 7 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | ჰიბერნიანი 1:2 | 90 | | 3 | 0 | 7 |
| | | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | შ | ფეიენოორდი 1:2 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 4 | 0 | 2 |
| | | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | |
| გელა შეყილაძე | რონსე | ს | ვარეგემი 0:3 | ? | | ? | 0 | 9 |
| | | | **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | შ | ბაზელი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 11 | 2 | 9 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | ს | ციურიხი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| | | | **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | შ | როტორი 0:1 | 90 | | 15 | 6 | 12 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | შ | როტორი 0:1 | 90 | პენალტი ვერ გაიტანა | 16 | 7 | 12 |
| გია იმედაძე | ალანია | შ | როტორი 0:1 | 0 | ტრანსფერზეა | 10 | 2 | 12 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ზილ 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | ურალანი 1:0 | 0 | | 25 | 1 | 15 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | სპარტაკი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 14 | 0 | 5 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | სპარტაკი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | შ | ტორპედო 0:1 | 90 | | 6 | 0 | 3 |
| სევასტი თოდუა | ურალანი | შ | ანჟი 0:1 | 0 | | 5 | 0 | 13 |
| ანზორ კალაძე | კრილია | ს | ზენიტი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| | | | **პოლონეთი. 1 ლიგა** | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | შ | კატოვიცე 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 12 | 1 | 8 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



ლევან ცქიტიშვილი (მარჯვნივ) ფიურტელებს 90 წუთი ებრძოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იუვენტუსი ანიელის სიკვდილამდე და სიკვდილის მერე

*თუ ფიქრობთ, რომ „ინტერნაციონალეს“ სამშობლო მილანია, ცდებით. პირველი კლუბი ასეთი სახელწოდებით ტურინში, კომერსანტ ედუარდო ბოსიომ დააარსა. ტურინში კიდევ ორი კლუბი „ხიმნასტიკა ტორინო“ და „ტორინეზე“ იყო. ტურინის სიამაყე „იუვენტუსი“ ქალაქს ამ სამი კლუბის შემდეგ 1897 წლის 1 ნოემბერს მოევლინა.*

**კლუბის** სახელი „იუვენტუსი“, რაც ლათინურად ახალგაზრდობას ნიშნავს, კლუბის პირველმა წევრმა ფეხბურთელებმა, მასიმო დაზელიის გიმნაზიის მოსწავლეებმა მოიგონეს. „იუვეში“ პირველ კაპიტალდაბანდებებსაც სწორედ პირველი გიმნაზისტები აკეთებდნენ, თვეში თითო ლირას.

აბა, რას იფიქრებდნენ კლუბისთვის ზოგჯერ თავიანთი ბოლო გროშების გამღები გიმნაზისტები, თუ რა ფინანსურ მონსტრს უყრიდნენ საფუძველს. თუმცა ფინანსურ მონსტრობამდე „იუვეს“ კიდევ რამდენიმე ათეული წელი უკლდა.

თავისი ისტორიის გარიჟრაჟზე კი „იუვენტუსი“ სულაც არ ჰგავდა თავის მომავალ, ჩამოყალიბებულ სტერეოტიპს. სხვათა შორის, ტურინელთა პირველი ფორმაც ვარდისფერი იყო და დღეს ასე ჩვეული შავ-თეთრი, სრულიად შემთხვევით გახდა. საქმე ასე იყო, „იუვენტუსმა“ თავისი უკვე შემომცვდარი ფორმის ახალი კომპლექტი ინგლისელ ბიზნესმენ ჯონ სევიჯს შეუკვეთა. ამ უკანასკნელმაც ფორმა ნოტინგემში შეაკერინა, საიდანაც, არავინ იცის რატომ, მაშინდელი „იუვესთვის“ ჩვეული ვარდისფერი სამოსის ნაცვლად, ინგლისური „ნოთს კაუნთის“ შავ-თეთრი ფორმა გამოაგზავნეს.

რაც შეეხება ტიტულებს, „ზებრებს“ (სხვათა შორის, ეს აფრიკული ცხოველი კლუბის ემბლემების ზოგიერთ ვარიანტში გამოჩნდა კიდეც) დიდხანს ცდა არ დაუწყიათ. „ბებერი ქალბატონის“ პირველი სკუდეტო პირველი ოფიციალური მატჩიდან ხუთი წლის თავზე 1905 წელს მოვიდა. სხვათა შორის, „იუვენტუსის“ პირველ გამარჯვებაში კიდევ ერთი ტურინული გუნდის, „ტორინოს“ დამაარსებელ, შვეიცარიელ ვაჭარ ალფრედ დიკსაც მიუძღვის წვლილი. 1905-ში თავისი პირველი სკუდეტოს მომპოვებელ „იუვეს“ ხომ სწორედ დიკი პრეზიდენტობდა. შვეიცარიელის კავშირებმა და რაც მთავარია, ფულმა, გუნდის შემადგენლობისა და თამაშის აწყობაში დიდი როლი ითამაშა.

თუმცა კლუბისა და მისი პრეზიდენტის შეხმატკბილებული ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. პირველი სკუდეტოდან მცირე ხნის შემდეგ დიკს კლუბის სხვა წარმომადგენლებთან უთანხმოება მოუვიდა, „იუვენტუსი“ დატოვა და მეზობელ „ტორინეზეში“ „იუვეს“ მომავალ დაუძინებელ მტერს, „ტორინოს“ ჩაუყარა საფუძველი.

ახალი ერა კი, 1923 წლიდან დაიწყო. ამ წელს კლუბი „ფიატის“ მფლობელ ანიელების კლანის ხელში გადავიდა და ამ დროიდანვე დაიწყო არსებობა ჩვენთვის ასე ნაცნობმა, ტიტულებისა და ვარსკვლავების შემგროვებელმა „იუვენტუსმა“. „იუვე“ სიბრძნის, პროგრესის და გამოცდილების სინთეზად იქცა. ამ სინთეზის შექმნაში თავისი არც თუ უმნიშვნელო სიტყვა, კლუბის მაშინდელმა სელექციონერმა, ბარონმა მაცონისმა თქვა.

1897 წელს, კლუბის დაარსების მონაწილე ბარონი „იუვეს“ მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ბოლომდე ემსახურა. 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანების დასაწყისში კი, მაცონისმა კლუბში კლუბის პირველი ვარსკლავები მიიყვანა.

მაშინდელი იტალიის ბატონ-პატრონ მუსოლინის ლეგიონერების ევროპიდან შეყვანა აკრძალული ჰქონდა. სელექციონერმაც ნიჭიერი ფეხბურთელების სამხრეთ ამერიკაში ძებნა დაიწყო და მალე „იუვეს“ რიგებში გამოჩნდნენ არგენტინელები რაიმონდო ორსი და ლუის მონტი, ბრაზილიელი ფელიპე ბორელი — შვილი „იუვეს“ პირველ ოფიციალურ მატჩში, მოედანზე 11 წლის ასაკში გასულ ერნესტო ბორელისა. სამივე მათგანი 1934 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ამ სამეულის გარდა, მსოფლიოს თასი კიდევ ოთხმა იუვენტუსელმა ჯამპიერო კომბიმ, ვირჯინიო როზეტამ, ლუიჯი ბერტოლინიმ და ჯოვანი ფერარიმ მოიგეს. დღემდე დაუმხობელია მაშინდელი რეკორდიც: 1931-35 წლებში ტურინულმა კლუბმა ზედიზედ ხუთჯერ მოიგო სკუდეტო.

„იუვენტუსის“ პირველი „ოქროს ხანაც“ სწორედ 1935 წელს დასრულდა. დასრულდა ედუარდო ანიელის სიკვდილით. სენატორ ჯოვანი ანიელის ვაჟი გენუა-ტურინის ტარსაზე თავის მანქანაში იპოვეს მკვდარი. მისი სიკვდილის შემდეგ ნელ-ნელა პოზიციები დათმო კონცერნ „ფიატის“ კუთვნილმა კლუბმაც.

კლუბის აღორძინება ედუარდოს ვაჟმა წამოიწყო. ჯანი მამის სიკვდილისას სულ 15 წლისა იყო, თუმცა მცირე ასაკს სულაც არ შეუშლია მისთვის ხელი, კლუბის ადმინისტრაციული საბჭოს სხდომებს დასწრებოდა. კიდევ 14 წელიც და მისი დრო დადგა.

1949 წელს ტურინისა და იტალიის მაშინდელი პირველი კლუბის, „ტორინოს“ ავიაკატასტროფის ადგილზე მისულმა ჯანი ანიელიმ ჟურნალისტებს ეს უთხრა — მალე ტურინში კვლავ დაიბადება დიდი გუნდიო. ცდა დიდხანს არ დასჭირვებიათ. უკვე მომდევნო 1950 წელს „იუვენტუსმა“ 1935 წლიდან მოყოლებული, პირველი სკუდეტო მოიგო. ამ გუნდს „იუვენტუსის“ ლეგენდარული მოთამაშე ჯამპიერო ბონიპერტი კაპიტნობდა. „სინიორ ფეხბურთად“ წოდებულმა ჯამპიერომ გუნდი კიდევ 4-ჯერ მიიყვანა სკუდეტომდე და დღესაც „იუვეს“ შემადგენლობაში ჩატარებული მატჩების (444) და გატანილი გოლებით (178) მიხედვით კლუბის რეკორდსმენია. ბონიპერტის სახელთან არის დაკავშირებული, თანამედროვე ყველაფრისმომგები „იუვენტუსის“ სახელიც. 1971 წლიდან „ბონი“ „იუვეს“ პრეზიდენტი ხდება, კიდევ 6 წელიწადში ახალგაზრდა მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის შეგირდები პირველ ევროთასს, უეფას თასს იგებენ, გადის კიდევ სამი წელი და იტალიაში კვლავ ნებადართულია ლეგიონერების შეყვანა და „იუვენტუსიც“ ევროთასებისა და სუპერვარსკვლავების კოლექციას აგროვებს.

ტურინული კლუბი პირველი გახდა ევროგიგანტთა შორის, ვინაც სამივე ევროთასის მოგება მოახერხა. ფიატის გუნდის კოლექციაში დღეისთვის 26 სკუდეტოს, 9 იტალიის თასისა და 3 იტალიის სუპერთასის გარდა 2 ჩემპიონთა, 3 უეფას, ერთი თასების მფლობელთა, ორი ევროპის სუპერთასი და ამდენივე საკონტინენტთაშორისო თასია.

**სერგი ჟორჟაძე**





„იუვენტუსის“ ძველი გმირები: ჯონ ჩარლზი, ომარ სივორი და რობერტო ბეტეგა



შორმანდელ გამარჯვებულთაგან — ბექჰემი, ფიგუ, რაული — წლევულ სამეულში აღარავინაა

# რონალდო, ზიდანი, კანი ის ამათ შორისაა

**ფიფამ** სამი კანდიდატი დაასახელა, რომელთა შორის ერთ-ერთსაც მსოფლიოს 2002 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებენ. ესენი არიან: რონალდო, ზინედინ ზიდანი და ოლივერ კანი. შეგახსენებთ, რომ დაჯილდოება 17 დეკემბერს შედგება და იგი მადრიდის „რეალის“ საუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად ესპანეთის დედაქალაქში გაიმართება.

ოლივერ კანს ეიმედება, რომ იგი პირველი მეკარე იქნება მათ შორის ვინც ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გამხდარა.

გამოკითხვა 1991 წლიდან ტარდება და რონალდოსა და ზინედინ ზიდანს აქამდე ორ-ორჯერ ერგოთ ეს ტიტული.

იმავე დღეს დააჯილდოვებენ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებსაც. ოლივერ კანს „ოქროს ბურთს“ (მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელი) გადასცემენ, ხოლო რონალდოს „ოქროს ბუცს“ (მუნდიალის საუკეთესო მეგოლე).

რონალდოსა და სამხრეთ კორეის ნაკრების კაპიტან მუნგ-ბო ჰონგს შესაბამისად ვერცხლისა და ბრინჯაოს ბურთები გადაეცემათ, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში მეორე და მესამე ადგილოსნებს.

მუნდიალის ყველაზე სიმპათიური ნაკრების პრიზს კი პირველობის თანამასპინძელი სამხრეთ კორეა მიიღებს. ფეირ პლეის პრიზი კი ბელგიელებს დარჩებათ.

შარშან მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ დასახელდა. მადრიდშივე გამოავლენენ საუკეთესოს ქალთა შორისაც. პირველობის უპირველესი კანდიდატი კი წინა წლის საუკეთესო ქალფეხბურთელი აშშ-ის ნაკრების მთავარმეგოლე მია ჰამია. ტიტულში მას გერმანელი ბირგიტ პრინცი და ჩინელი სან ვენი შეეცილებიან.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ წლის საუკეთესო ფეხბურთელს ეროვნულ გუნდთა მწვრთნელების გამოკითხვით ავლენენ.

**ზურაბ რუხაძე**

## იტალია

### სერია B. XII ტური

**კატანია 2:0 პალერმო**

1:0 დი პრადო (28), 2:0 ოლივეირა (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 11 | 6 | 5 | 0 | 16:8 | 23 |
| კალიარი | 10 | 5 | 4 | 1 | 11:7 | 19 |
| ტერნანა | 11 | 5 | 4 | 2 | 11:7 | 19 |
| ანკონა | 11 | 4 | 6 | 1 | 16:11 | 18 |
| ლივორნო | 11 | 6 | 0 | 5 | 13:9 | 18 |
| სიენა | 11 | 4 | 6 | 1 | 11:8 | 18 |
| ტრიესტინა | 11 | 4 | 4 | 3 | 14:11 | 16 |
| ლეჩე | 11 | 3 | 7 | 1 | 13:10 | 16 |
| პალერმო | 11 | 5 | 1 | 5 | 13:16 | 16 |
| ბარი | 11 | 2 | 7 | 2 | 9:7 | 13 |
| ვერონა | 11 | 3 | 4 | 4 | 13:12 | 3 |
| ასკოლი | 11 | 3 | 4 | 4 | 7:9 | 13 |
| ჯენოა | 11 | 3 | 3 | 5 | 11:11 | 12 |
| ვენეცია | 11 | 3 | 3 | 5 | 10:13 | 12 |
| კატანია | 11 | 3 | 3 | 5 | 14:20 | 12 |
| ნაპოლი | 11 | 2 | 5 | 4 | 15:17 | 11 |
| მესინა | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | 11 |
| კოზენცა | 11 | 3 | 2 | 6 | 8:12 | 11 |
| ვიჩენცა | 11 | 2 | 5 | 4 | 14:19 | 11 |
| სალერნიტანა | 11 | 2 | 1 | 8 | 9:19 | 7 |

## პორტუგალია

### I ლიგა. XI ტური

**ბოავიშტა 0:1 ჟილ ვისენტე**

0:1 პაულუ ალვეში (72)

**მორეირენსე 0:1 პორტუ**

0:1 დერლეი სილვა (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 11 | 8 | 3 | 0 | 21:9 | 27 |
| სპორტინგი | 11 | 7 | 1 | 3 | 18:14 | 22 |
| ბენფიკა | 11 | 6 | 2 | 3 | 24:11 | 20 |
| ბელენენსეში | 11 | 6 | 2 | 3 | 14:12 | 20 |
| გიმარაეში | 11 | 6 | 1 | 4 | 23:18 | 19 |
| ვარზიმი | 11 | 6 | 1 | 4 | 18:13 | 19 |
| ჟილ ვისენტე | 11 | 5 | 2 | 4 | 16:14 | 17 |
| ფერეირა | 11 | 5 | 1 | 5 | 14:16 | 16 |
| ნასიონალი | 11 | 4 | 2 | 5 | 14:17 | 14 |
| ბრაგა | 11 | 4 | 2 | 5 | 12:18 | 14 |
| სეტუბალი | 11 | 2 | 7 | 2 | 14:10 | 13 |
| ბეირა მარი | 11 | 3 | 4 | 4 | 9:12 | 13 |
| მარიტიმუ | 10 | 4 | 1 | 5 | 10:16 | 13 |
| ბოავიშტა | 11 | 3 | 3 | 5 | 7:10 | 12 |
| ლეირია | 11 | 3 | 2 | 6 | 12:16 | 11 |
| აკადემიკა | 11 | 1 | 5 | 5 | 12:18 | 8 |
| მორეირენსე | 11 | 2 | 2 | 7 | 10:16 | 8 |
| სანტა კლარა | 10 | 2 | 1 | 7 | 13:21 | 7 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XIII ტური

**ზანქტ პაული 2:3 კიოლნი**

1:0 ბარინსკი (15), 1:1, 1:2, 1:3 შერცი (36, 52, 59), 2:3 ა. მაიერი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 13 | 7 | 6 | 0 | 29:15 | 27 |
| ფრაიბურგი | 13 | 8 | 2 | 3 | 20:11 | 26 |
| აინტრახტი | 13 | 7 | 3 | 3 | 24:12 | 24 |
| ალემანია | 13 | 6 | 4 | 3 | 22:17 | 22 |
| ობერჰაუზენი | 13 | 6 | 4 | 3 | 16:12 | 22 |
| მაინცი | 13 | 6 | 3 | 4 | 20:13 | 21 |
| ფიურტი | 13 | 5 | 6 | 2 | 19:13 | 21 |
| ბურგჰაუზენი | 13 | 5 | 5 | 3 | 22:14 | 20 |
| ტრიერი | 13 | 6 | 2 | 5 | 22:16 | 20 |
| როიტლინგენი | 13 | 6 | 2 | 5 | 22:21 | 20 |
| ლიუბეკი | 13 | 6 | 1 | 6 | 24:19 | 19 |
| დუისბურგი | 13 | 4 | 6 | 3 | 16:17 | 18 |
| უნიონი | 13 | 3 | 5 | 5 | 14:27 | 14 |
| ალენი | 13 | 3 | 3 | 7 | 16:21 | 12 |
| კარლსრუე | 13 | 2 | 5 | 6 | 13:22 | 11 |
| ბრაუნშვაიგი | 13 | 2 | 3 | 8 | 14:29 | 9 |
| ზტ. პაული | 13 | 2 | 2 | 9 | 19:33 | 8 |
| ვალდჰოფი | 13 | 1 | 2 | 10 | 12:32 | 5 |

## ჩეხეთი

### XV ტური

**ბრნო 1:0 იაბლონეცი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 14 | 10 | 3 | 1 | 24:4 | 33 |
| სლავია | 14 | 9 | 4 | 1 | 28:8 | 31 |
| ტეპლიცე | 14 | 9 | 0 | 5 | 21:17 | 27 |
| ლიბერეცი | 14 | 8 | 2 | 4 | 23:16 | 26 |
| სინოტი | 14 | 6 | 3 | 5 | 17:17 | 21 |
| ჟიჟკოვი | 14 | 6 | 3 | 5 | 18:19 | 21 |
| ბანიკი | 13 | 6 | 2 | 5 | 19:13 | 20 |
| პრჟიბრამი | 14 | 5 | 3 | 6 | 12:12 | 18 |
| ბუდეიოვიცე | 14 | 6 | 0 | 8 | 20:27 | 18 |
| ბრნო | 14 | 5 | 2 | 7 | 17:18 | 17 |
| ზლინი | 14 | 4 | 4 | 6 | 14:21 | 16 |
| იაბლონეცი | 13 | 4 | 4 | 5 | 13:20 | 16 |
| ბლშანი | 14 | 4 | 3 | 7 | 11:16 | 15 |
| სიგმა | 14 | 2 | 5 | 7 | 11:16 | 11 |
| ჰრადეც კრალოვე | 14 | 1 | 7 | 6 | 11:21 | 10 |
| ბოჰემიანსი | 14 | 2 | 3 | 9 | 17:31 | 9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქმე და სიტყვა

## ბუნდესლიგა, პრიმერადივიზიონი, სერია A უქმეების მერე



შტეფან ეფენბერგმა და ოლივერ კანმა ძველი ძმობა გაიხსენეს

— აღმოსავლეთგერმანულ „კოტბუსს“ „არმინიასთან“ შეხვედრამდე გოლი ბოლოს 10 აგვისტოს, მიუნხენის „ბაიერნის“ კარში ჰქონდა გატანილი. მასპინძელთა პოლონელმა ლეგიონერმა კობილანსკიმ, უგოლო ტანჯვა „არმინიას“ კარში მერვე წუთზე ზუსტად დარტყმით შეწყვიტა. მეორე „კოტბუსის“ კაპიტანმა ბეეკმა შეაგდო. სიხარულიც ორიგინალურად გამოხატა — მოედნისა და ტრიბუნების გამყოფ ღობეს შეახტა, რისთვისაც მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურა და გააძევეს.

— „ბაიერნისა“ და „შალკეს“ მძლეველ ლევერკუზენის „ბაიერს“ საშუალო გუნდების დამარცხება უჭირს. ბოლო ტურშიც, მიოხენგლადბახის „ბორუსიასთან“, მატჩის მიწურულსღა გადარჩა. მეორე გოლის გატანისას ბიროფკამ ბურთი ხელით გაისწორა, რაც მსაჯს შეუმჩნეველი დარჩა და „ბაიერმა“ ფრეს მიაღწია.

— დორტმუნდის „ბორუსიამ“ ამ ჩემპიონატში მეექვსედ შეინახა კარი მშრალად. ეს საუკეთესო შედეგია ბუნდესლიგაში. საერთოდ კი დორტმუნდელებს 19 მატჩია, შინ არ წაუგიათ.

**მათიას ზამერი**, „დორტმუნდის“ მწვრთნელი: მიუნხენის „ბაიერნთან“ მარცხის შემდეგ ოდნავ ავფორიაქდით, მაგრამ გუნდმა შეძლო მობილიზება და „მიუნხენ 1860“-თან, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, შესანიშნავად ითამაშა. მეორეში კონტრშეტევებზე გადავერთეთ და რამდენიმე შანსის გამოყენება გვ-მართებდა.

**პეტერ პაკულტი**, „მიუნხენ 1860“-ის მწვრთნელი: ყველაფერი გავიღეთ იმისთვის, რომ დორტმუნდიდან ქულა მაინც წაგვეღო. სამწუხაროდ, რეალური საგოლე მომენტები ვერ შევქმენით და საბოლოოდ წავაგეთ.

**მათიას ჰაინი**, „არმინიას“ მეკარე: კოტბუსელები მეორე ბუნდესლიგის დონის ფეხბურთს კი თამაშობენ, მაგრამ ჩვენ რეგიონალლიგელებს ვგავართ. „არმინიას“ ფეხბურთელები პენსიონერებივით დადიოდნენ მოედანზე.

**ზიგფრიდ ზელნერი**, „მიოხენგლადბახის“ ვიცე-პრეზიდენტი: „ვერ დავიჩემებ, რომ მსაჯმა დაინახა, ბიროფკამ რომ ხელით ითამაშა და გოლი მაინც ჩაუთვალა.

**შტეფან ეფენბერგი**: „მიუნხენში დაბრუნება და ძველ ნაცნობებთან შეხვედრა მართლაც მესიამოვნა, მიუხედავად იმისა, რომ დასანანი მარცხი ვიწვნიეთ.

## გერმანია

— ბოლო 11 შეხვედრაში „ვოლფსბურგი“ მიუნხენის „ბაიერნთან“ მეცხრედ დამარცხდა. „მგლებს“ ყოფილი ბაიერნელი შტეფან ეფენბერგიც ვერ დაეხმარა. მას „ოლიმპიაშტადიონი“ გულთბილად შეხვდა. „ეფე“ ელბერს და კანს ჩაეხუტა კიდეც მოედანზე, ორთაბრძოლების ნახევარზე მეტიც მოიგო, მაგრამ „ვოლფსბურგმა“ მაინც წააგო.

— როსტოკის „ჰანზამ“ რვამატჩიანი მოუგებელი სერია გამოჩარხა. ბოლო ტურში ოდენ ფრე გააზერხა „შტუტგარტთან“, რომელსაც თავის მხრივ ექვსი კვირაა, წაგება არ უგემია. „ჰანზა“ — „შტუტგარტის“ შეხვედრის მსაჯმა გახელებულ ფეხბურთელებს ჯამში 7 ყვითელი ბარათი ჩამოურიგა, ხოლო მასპინძელი სალუ და სტუმარი მაიერი მინდვრიდან მიაბრძანა.

— მიმდინარე ჩემპიონატში „ჰამბურგმა“ პირველად შეძლო სტუმრად სამი ქულის აღება.

— თუ ფრედი ბობიჩმა მატჩში ერთი გოლი მაინც გაიტანა, „ჰანოვერი“ უქულოდ არ რჩება. ბოლო ტურში ბობიჩმა ვერ შეაგდო და „ჰანოვერსაც“ ხელი მოეცარა.



მანემ მე-200 პრიმერული მატჩი ჩაატარა



გაბრიელ ბატისტუტამ და ვინჩენცო მონტელამ რეკორდები მიითვალეს

## ესპანეთი

— მოქმედმა ჩემპიონმა „ვალენსიამ“ მიმდინარე ჩემპიონატში პირველი მარცხი იგემა სტუმრად.

— მეცხრე ტურში, მალაგაში „ოსასუნას“ ნახევარმცველი განსედო იმიტომ ვერ ჩაჰყვა გუნდს, რომ თვითმფრინავზე დააგვიანდა. ამჯერად „ვალენსიასთან“ მატჩში შეცვლაზე შესულ განსედოს ფანობა სტვენით შეხვდა, კლუბმა კი ფეხბურთელი 10 818 ევროთი დააჯარიმა.

— მადრიდიდან ბარსელონისკენ გეზაღებულ თვითმფრინავს, რომელშიც „ატლეტიკოს“ ფეხბურთელები ისხდნენ, ჰაერში ტექნიკური პრობლემები შეექმნა და აეროპორტში დაბრუნდა.

— „ვალენსიას“ ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი ტრავმირებულია. აიმარი „ოსასუნასთან“ პირველ ტაიმში დაშავდა, კუნთი გაიწყვიტა და გუნდს სამი-ოთხი კვირით დააკლდება. ამავე მიზეზით ასევე ერთი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს რუფეტე, ხოლო კარეუ ალბათ ოდენ 4-5 დღით დაისვენებს.

— „მალიორკამ“ მიჯრით მეშვიდე შეხვედრა მოიგო და საკლუბო რეკორდი დაამყარა.

— „ალავესის“ მწვრთნელმა ხოსე მანუელ ესნალ პარდომ, იგივე მანემ, პრიმერადივიზიონის მეორასე მატჩი იმწვრთნელა.

— ბარსელონის „ესპანიოლმა“ ზედიზედ მესამედ წააგო.

— „ბეტისის“ მწვრთნელ ვიქტორ ფერნანდესს ყოფილი კლუბის, ვიგოს „სელტას“ დამარცხებაში მსაჯი პერესლასაც წაეხმარა. მან ხოაკინის მიერ აშკარა თამაშგარედან გატანილი გოლი ჩათვალა.

— ბილბაოს „ატლეტიკმა“ ბოლო 30 მატჩში ერთი გოლი მაინც გაუშვა საკუთარ კარში.

**რეინალდ დენიო**, „რეალ სოსიედადის“ მწვრთნელი: ბობოლებს თუ არ მოუგე, ჩემპიონი ვერ გახდები!

## იტალია

— რობერტო მანჩინის თავკაცობით „ლაციომ“ ზედიზედ მეხუთე გასვლითი მატჩი მოიგო. ამასთან წაუგებელმა სერიამ 13-ს უწია. მათ შორის 9 ჩემპიონატში და 4-იც თასზე მოუგროვდა.

— „რომა“ რვა ტურია, არ აგებს. დედაქალაქელებმა 4-ჯერ იმარჯვეს და ამდენივე ფრე მოაგროვეს. თუმც ფაბიო კაპელოს გუნდმა, „სტადო ოლიმპიკოზე“ 15 შესაძლებლობიდან ოდენ 8 ქულა აიღო, საკუთარ კარში მიღებული 16 ბურთი კი უცუდესი შედეგია კლუბისთვის ბოლო 30 წლის მანძილზე.

— ვინჩენცო მონტელამ მეასე გოლი შეაგდო სერია A-ში და ფილიპო ინძაგის დაეწია. მისმა თანაგუნდელმა გაბრიელ ბატისტუტამ მე-300 მატჩი ითამაშა და 182 გოლიც მოუგროვდა.

— ჩემპიონთა ლიგის მატჩების გათვალისწინებით, ტურინის „იუვენტუსმა“ მიჯრით 7 შეხვედრა მოიგო, მათ შორის 5 ჩემპიონატში, რაც სერია A-ს რეკორდია ამ სეზონში.

— მილანის „ინტერმა“ ბოლო 23 თამაშში 47 გოლი გაიტანა.

— „მილანის“ სასარგებლოდ უკვე რვა თერთმეტმეტრიანი დანიშნეს, რომელთაგანაც ხუთი გამოიყენეს და ყველა ანდრეა პირლომ მიითვალა.

— „ბოლონიამ“ და „მილანმა“ ხუთივე საშინაო შეხვედრა მოიგეს. მსგავსი შედეგი ბოლონიას 1962-63 წლების სეზონში, ხოლო „მილანს“ 1995-96 წლებში ჰქონდა.

— „რეჯინამ“ ზედიზედ ოთხჯერ, ხოლო „ბრეშამ“ სამჯერ წააგო.

— „პიაჩენცა“ რვა ტურია, ვერ იგებს და ამ ხნის განმავლობაში სულ ორი ქულა მოაგროვა.

— „უდინეზეს“ ახალწვეულმა გერმანელმა კარსტენ იანკერმა თავისი პირველი იტალიური გოლი შეაგდო.

— გასულ ტურში ემპოლელმა დი ნატალემ ჰეთ თრიქი, ხოლო ანდრეა პირლომ და კლაუდიო ლოპესმა დუბლი შეასრულეს.


რეინალდ დენიო

## ბასკეთში ჩასულ ფრანგს არსენალი მოსწონს და დინამო საუკეთესოდ მიაჩნია

**ვინ არის** რეინალდ დენიო? საიდან მივიდა 54 წლის ფრანგი სან სებასტიანში და როგორ მოახერხა ასე უცბად ჯერ უძლეველი „სოსიედადის“ გამოძერწვა?

ნანტში იგი 1966-ში ჩავიდა. ფეხბურთის თამაშიც დაიწყო, მაგრამ მისი კარიერა ვერ აეწყო. 11 სეზონში ოდენ 93 მატჩი ითამაშა და თუ რამ მოუგია, თანაგუნდელთა ყოჩაღობით. 1973 წელს ქვეყნის ჩემპიონი გახდა, ხოლო 1979-ში თასი მოიგო.

1982 წელს ნანტში საფეხბურთო სკოლა დააარსა. ის სკოლა აქვთ გავლილი დიდიე დეშანს, მარსელ დესაის, კრისტიან კარამბეუს, კლოდ მაკელელეს და ბევრ სხვას.

მწვრთნელობაში დენიომ დიდი ფხა გამოიჩინა. „ნანტი“ მისი თავკაცობით 2000-2001 წლების სეზონში გაჩემპიონდა და გუნდთან ერთად ორჯერ თასიც აღმართა.

ხშირად ხდება, აღმავლობას ვარდნა მოჰყვება და შარშან რეინალდ დენიო პოსტიდან წარუმატებლობის გამო დაითხოვეს. მსურველი მას ესპანეთში გამოუჩნდა, ბასკური „რეალ სოსიედადი“, რომელიც იმ დროს სულს ღაფავდა. ხელი ხელს დაჰკრეს და ფრანგმა სან სებასტიანში ახალი ფერები შეიტანა.

რეინალდ დენიოს მთავარი პრინციპი დისციპლინაა, ასევე საკუთარი თავის რწმენა და მაქსიმალიზმიც. მადრიდის „რეალთან“ მატჩის წინ მწვრთნელმა თქვა, ჩვენ მხოლოდ მოსაგებად მივდივართ. „თუ ჩემპიონობა გსურს, ბობოლები უნდა დაამარცხო“ — აი, ფრანგის საფეხბურთო ფილოსოფია.

დღევანდელი „სოსიედადი“ — ეს მადრიდშიც გამოჩნდა — განსწავლული, მოძრავი, მაღალ ტემპში მოთამაშე გუნდია.

დენიოს კი თურმე ლონდონის „არსენალი“ მოსწონს, მაგრამ, რაოდენ უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, მისი აზრით, ძველი კიევის „დინამო“ საუკეთესოა მათ შორის, რაც კი ფრანგს უნახავს.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოკა ეჭიდავება წარმოგიდგენიათ? შუქი ჩაქრა



მარსელო დელგადოს კინკილა გოლმა „ბოკა ხუნიორსს“ ჩემპიონობის კარგი შანსი დაუტოვა

## არგენტინა

### აპერტურა

80-17 ტური: ბანფილდი — ინდეპენდიენტე 2:4; ბოკა ხუნიორსი — ტალერესი 1:0; ხიმნასია ლა პლატა — რივერ პლეიტი 2:0; ნიუელს ოლდ ბოიზი —ველეს სარსფილდი 2:0; ლანუსი — ურაკანი 2:0; ოლიმპო — ჩაკარიტა 2:0; სან ლორენსო — არსენალი 1:2; უნიონი — როსარიო 3:2; რასინგი — კოლონი 3:2. ნუევა ჩიკაგო — ესტუდიანტესი 48-ე წუთზე 1:0-ზე ჩაიშალა

**აპერტურაში** ვითარება იძაბება: „ინდიპენდიენტეს“ იმედი, რომ ვადამდელ ჩემპიონობას მოიპოვებდა „ბანფილდმა“ გააქრო. ლიდერი 1:2 დამარცხდა, უახლოესმა და ერთადერთმა ნამდვილმა მდევარმა „ბოკამ“ კი შინ „ტალერესს“ მოუგო მარსელო დელგადოს ერთადერთი გოლით და ახლა სამი ქულითღა ჩამორჩება „ინდეპენდიენტეს“. აპერტურას დასრულებამდე კი ორი ტური დარჩა.

„ბოკასაც“ და „ტალერესსაც“ მძიმე თამაში გამოუვიდათ: მასპინძელთაგან უგო იბარა გააძევეს, სტუმართაგან სესარ ლა პალია.

„ბანფილდმა“ კი ყველა გააოცა: „ინდეპენდიენტე“ ლამის მთელ თამაშს იგებდა ფერნანდო ინსუას ბურთით, რომელიც დანიელ მონტენეგროს გრძელ პასს მოჰყვა, მაგრამ ბოლო თორმეტ წუთში ბანფილდელებმა ადრიან გონსალესმა და ვალტერ ხიმენესმა ორჯერ შეაცდინეს მეკარე ლეო დიასი და ლიდერი დაამარცხეს.

დარჩენილ ორ ტურში „ინდეპენდიენტეს“ ოთხი ქულა უნდა, რათა რვა წლის თავზე კვლავ მოიგოს ტიტული. შემდეგ ტურში იგი „ბოკას“ მასპინძლობს და ამ თამაშში გადაწყდება აპერტურას ჩემპიონობის ბედი.

| 19.00 | 329 | მოსკავიდე-აკადემიკა | 5,0 | 3,6 | 1,55 | 2,09 | 1,18 | 1,08 |
| 19.00 | 330 | პორტუ-ტროფენსე | 1,02 | 9,0 | 20,0 | 1 | 1 | 6,2 |
| 19.00 | 331 | სპორტინგი-ესტარეჯა | 1,02 | 9,0 | 20,0 | 1 | 1 | 6,2 |
| 19.00 | 332 | ფელგეირა-რიბეირაო | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 19.00 | 333 | ლურინიანენსე-ბელენენსეში | 12,0 | 6,0 | 1,15 | 4 | 1,04 | 1 |
| 19.00 | 334 | მორეირენსე-ბენფიკენსე | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 19.00 | 335 | მარკუ-მადეირა | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 336 | ოვარენსე-ნავალი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 337 | პენაფიელი-ლუზიტანო | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 19.00 | 338 | რიუ ავე-ფატიმა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 19.00 | 339 | პრაიენსე-კოვილია | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| | | **ჰოლანდია** | | | | | | |
| | | **თასი. I ეტაპი.** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 340 | დენ ჰააგი-დე ტრეფერსი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | | **2004 წლის** | | | | | | |
| | | **ევროპის ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 341 | აზერბაიჯანი-უელსი | 7,5 | 4,0 | 1,35 | 2,6 | 1,14 | 1 |
| 21.00 | 342 | კვიპროსი-მალტა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 23.00 | 343 | სან მარინო-ლატვია | 14,0 | 5,6 | 1,15 | 4 | 1,06 | 1 |
| | | **ამხანაგური მატჩები.** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 14.00 | 345 | სამხრეთ კორეა-ბრაზილია | 4,2 | 3,1 | 1,8 | 1,78 | 1,25 | 1,13 |
| 14.20 | 346 | იაპონია-არგენტინა | 3,5 | 3,1 | 1,95 | 1,64 | 1,25 | 1,19 |
| 16.00 | 347 | რუმინეთი-ხორვატია | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 18.00 | 348 | ესტონეთი-ისლანდია | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.00 | 349 | სლოვაკეთი-უკრაინა | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 20.00 | 350 | ტუნისი-ეგვიპტე | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 20.00 | 351 | ნიგერია-იამაიკა | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 20.00 | 352 | მაროკო-მალი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 20.30 | 353 | უნგრეთი-მოლდოვეთი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 354 | დანია-პოლონეთი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 23.00 | 355 | გერმანია-ჰოლანდია | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 23.00 | 356 | საბერძნეთი-ირლანდია | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 23.10 | 357 | ჩეხეთი-შვედეთი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 23.30 | 358 | ავსტრია-ნორვეგია | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 23.45 | 359 | იტალია-თურქეთი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 23.45 | 360 | საფრანგეთი-იუგოსლავია | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| 24.00 | 361 | ჰონდურასი-კოლუმბია | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 00.45 | 362 | ესპანეთი-ბულგარეთი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 01.00 | 363 | პორტუგალია-შოტლანდია | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 01.00 | 364 | ვენესუელა-ურუგვაი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 01.00 | 365 | ეკვადორი-კოსტა რიკა | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია.** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 649 | ამბრი-რაპერსვილი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 22.30 | 650 | დავოსი-ბერნი | 1,7 | 4,2 | 2,9 | 1,21 | 1,07 | 1,71 |
| 22.30 | 651 | სერვეტი-ფრაიბურგი | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |
| 22.30 | 652 | კლოტენი-ლოზანა | 1,35 | 5,0 | 4,4 | 1,06 | 1,03 | 2,34 |
| 22.30 | 653 | ლანგნაუ-ლუგანო | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 22.30 | 654 | ცუგი-ციურიხი | 2,3 | 4,2 | 2,1 | 1,48 | 1,09 | 1,39 |
| | | **ჰოკეი. გერმანია.** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 661 | აისბარენი-შვენინგი | 1,3 | 5,0 | 5,3 | 1,03 | 1,04 | 2,57 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 662 | ნიურნბერგი-კიოლნი | 2,3 | 4,2 | 2,1 | 1,48 | 1,09 | 1,39 |
| 22.30 | 663 | კასელი-მანჰაიმი | 2,4 | 4,2 | 2,0 | 1,52 | 1,09 | 1,35 |
| 22.30 | 664 | ფრანკფურტი-იზერლონი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 23.00 | 665 | კრეფელდი-ჰანოვერი | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,25 | 1,08 | 1,64 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 666 | აუგსბურგი-ინგოლშტადტი | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,25 | 1,08 | 1,64 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი.** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 677 | ლეკსანდი-ლინშოპინგი | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,25 | 1,08 | 1,64 |
| 22.00 | 678 | იურგორდენი-ფერიესტადი | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 22.00 | 679 | მოდო-სოდერტელიე | 1,7 | 4,2 | 2,9 | 1,21 | 1,07 | 1,71 |
| 22.00 | 680 | ტიმრო-ლულეო | 1,65 | 4,2 | 3,1 | 1,18 | 1,07 | 1,78 |
| 22.00 | 681 | ჰვ 71-ფროლუნდა | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 22.00 | 682 | მალმო-ბრიუნესი | 1,45 | 4,4 | 4,0 | 1,09 | 1,06 | 2,09 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **ევრ შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.30 | 755 | ჩეხეთი-რუსეთი | 4,0 | 12,0 | 1,15 | | | |
| 20.00 | 756 | რუმინეთი-ესპანეთი | 7,5 | 12,0 | 1,02 | | | |
| 20.00 | 757 | ბულგარეთი-თურქეთი | 2,8 | 12,0 | 1,3 | | | |
| 21.00 | 758 | კვიპროსი-ბოსნია | 6,0 | 12,0 | 1,05 | | | |
| 21.00 | 759 | უნგრეთი-საფრანგეთი | 2,4 | 12,0 | 1,4 | | | |
| 21.00 | 760 | დანია-ისრაელი | 7,5 | 12,0 | 1,02 | | | |
| 21.30 | 761 | მაკედონია-ხორვატია | 2,5 | 12,0 | 1,35 | | | |
| 22.00 | 762 | შვეიცარია-უკრაინა | 2,3 | 12,0 | 1,45 | | | |
| 22.00 | 763 | ბელარუსი-ესტონეთი | 2,1 | 12,0 | 1,55 | | | |
| 23.00 | 764 | ჰოლანდია-ლიტვა | 6,0 | 12,0 | 1,05 | | | |
| 23.00 | 765 | პოლონეთი-ლატვია | 1,5 | 12,0 | 2,2 | | | |
| 23.00 | 766 | პორტუგალია-სლოვენია | 3,5 | 12,0 | 1,2 | | | |
| 23.00 | 767 | ირლანდია-გერმანია | 4,0 | 12,0 | 1,15 | | | |
| 23.00 | 768 | ინგლისი-იტალია | 5,0 | 12,0 | 1,1 | | | |
| 23.30 | 769 | ბელგია-საბერძნეთი | 6,0 | 12,0 | 1,05 | | | |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.11 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (XIV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 23.11 16.15 | 2602 | ინგლისი პლ. (XV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 23.11 21.00 | 2603 | იტალია "A" (XI ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 23.11 21.00 | 2604 | ესპანეთი Iდ. (XI ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 22.11 23.45 | 2605 | საფრანგეთი Iდ. (XVI ტური) | 22 ან ნაკლები – 1,9 | 24 ან მეტი – 1,9 |
| 22.11 23.00 | 2606 | ჰოლანდია Iდ. (XIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 22.11 23.30 | 2607 | ბელგია Iდ. (XIII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 23.11 15.30 | 2608 | თურქეთი. (XIV ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, P კორპუსი

ბროკერმა უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30
კვირა 12.00–20.30

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქ №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

# მასწავლებლობას როდისღა ასწრებ, ბიჭო?!

## პარადორნი ჯარიდან სკოლამ დაიხსნა



პარადორნ შრიჩაფანი

არადა, სულ რაღაც ოთხი-ხუთი დღის წინ ტაილანდიდან გულისდამთუთქავი ინფორმაცია მოვიდა — მსოფლიო ჩოგნაობის აწ უკვე დასტურამოსული 23 წლის ვარსკვლავი მომავალი წლის 7 აპრილს წვევამდელთა ბანაკში უნდა გამოცხადებულიყო, რათა იმ დღიდან მოყოლებული მთელი ორი წლის განმავლობაში მისი უდიდებულესობის, მრისხანე ბჰუმიბოლ ადულიადეის სამეფო დაეცვა.

სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან და — ბუნებრივია — ჩოგბურთში აქამდე მონაგრული მიღწევების მეკონგის წყალში ჩაყრისაგან პარადორნი ერთმა მაკვარანცხმა კანონმა გადაარჩინა. როგორც იქაური თავდაცვის სამინისტროს პრესმდივანმა, გენერალ-მაიორმა პალანგუნ კრაჰანმა განაცხადა, ეს კანონი ჯარში წასვლისგან ერთბაშად ცხრა პროფესიის წარმომადგენელს — მათ შორის ფიზკულტურის მასწავლებლებსაც — იცავს. ჩვენი პარადორნი კი — თურმე აქამდე არავინ იცოდა — ერთ ადგილობრივ სკოლაში სწორედ ფიზკულტურას ასწავლის. ოღონდ მთელი წლის განმავლობაში პლანეტის ირგვლივ მომთაბარე ბავშვების ფიზაღზრდას როგორღა ასწრებს, პატივცემულ გენერალს ეგ ამბავი აღარ დაუკონკრეტებია.

აღარ დაუკონკრეტებია და ნუღარ დაუკონკრეტებია. ჩოგნაობის ტრფიალთაც ხომ ეგ გვინდოდა — ეგ ბიჭი რამენაირი მანქანებით ტაილანდური სამხედრო აღმშენებლობის აქეთა მხარეს დაგვეტოვებინა. ეგეც ცოდო იყო და ჩვენც არმად დაგვრჩებოდა ამდენი თვის განმავლობაში მის ჩაუქ გარჯაზე ნაკუდრაჭევი.

ასე რომ, ფანებს შეგიძლიათ, აღარ იდარდოთო, ბრძანა გენერალმა პალანგუნმა და — მოგვეცა ლხენა!

სრულიად ტაილანდის მხრიდან პარადორნის დაფასება კი ყველა ქვეყნისთვის სამაგალითო უნდა იყოს. ჯარიდან გათავისუფლება გვერდზე გადავდოთ და, მთავრობამ პარადორნს თავის დროზე დიპლომატიური პასპორტიც უბოძა, ხოლო „ტაი ეირვეისმა" მას 3 მილიონი საჰაერო მილის უფასოდ დაფარვის საშუალება მისცა.

დაუფასებელი ის არც მშობლიურ ქალაქ ხონ კენში გახლავთ. ქვეყნისა და ერისთვის სახელის მომხვეჭ მეჩოგნეს ხონკენელებმა იმ კვირაში ბაჯაღლო ოქროსგან ჩამოსხმული ეშხიანი ჩოგანი უფეშქაშეს.

სხვაფრივ — 2002 წელი პარადორნმა მსოფლიოში 126-ე კაცად დაიწყო, მაგრამ დაუღალავმა და აგრესიულმა გარჯამ — რამაც თავ-თავის დროზე ლეიტონ ჰიუიტი და ანდრე აგასიც იმსხვერპლა — სეზონი მას რეიტინგსიის მე-18 საფეხურზე გაასრულებინა.

# ავსტრალოფობია

## ელენა დოკიჩი წარსულს ემალება

ქალთა ჩოგბურთის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მღედრმა, 19 წლის იუგოსლავიელმა ელენა დოკიჩმა ავსტრალიის ღია პირველობაზე ჩაუსვლელობა გადაწყვიტა. ამის მიზეზად სათნო იუგოგომ ის დაასახელა, რომ ქვეყანაში, სადაც 6 წლის განმავლობაში ცხოვრობდა, მას ძალიან გულცივი და უსიამო დახვედრა მოელის.

დოკიჩი: „არა მგონია, იქ დაბრუნება კარგი იდეა იყოს. ვფიქრობ, მენტალურად ძალიან გამიჭირდებოდა. თავის დროზე მედიამ დიდი პრობლემები შემიქმნა და ბოლოსკენ უკვე ხალხიც ცუდად განეწყო ჩემს მიმართ. ასე რომ, იქ ჩასვლა ჩემთვის ერთგვარ რისკთანაც არის დაკავშირებული — არ ვიცი, რა იქნება და როგორ. იქ რომ რამე შემემთხვეს, მერე მთელი სეზონი წამურდლული უნდა ვიყო. ეგეც არ იყოს, ჩემს საქომაგოდაც იქ არავინ ივლიდა. ყოველივე ამის გამო გადავწყვიტე, ავსტრალიაში არ წავიდე".

არადა, ერთი პირობა ელენა ქვეყნის უპირველესი ქალმეჩოგნე იყო და მის ავსტრალიურ მომავალსაც თითქოს არაფერი ემუქრებოდა. მაგრამ მისი ყიამყრალი მამის, დამირის გაუთავებელმა ჭინჭყლობამ, მედიასა და საჩოგბურთო ჩინმაჩინებთან მუდმივმა ბრიყვულმა პაექრობამ დოკიჩების ოჯახის იქ ცხოვრება გაუსაძლისი გახადა. სწორედ ამის გამო, მათ ავსტრალიიდან მშობლიურ იუგოსლავიაში დაბრუნება არჩიეს...

ის თავის წარსულს ემალებაო, ასე შეაფასა დოკიჩის გადაწყვეტილება ავსტრალიური ჩოგბურთის მახვშმა, ჯეფ პოლარდმა. მისივე თქმით, ეს ძალზედ იმედგამაცრუებელი ფაქტია, რადგანაც ელენას აქვს იმის პოტენციალი, დიდი სლემის ტურნირზე რომ იმარჯვოს, ხოლო ყველაზე მეტად მას სწორედ ავსტრალიური სლემტურნირის მოგება ხელეწიფება.

ლევან ძელაურაძე



ელენა დოკიჩი



## NBA რეგულარული ჩემპიონატი





18 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი 99:79 დენვერი**

**ნიუ ჯერსი:** ჯიდი (24), კიტლზი (15), ჯეფერსონი (13), მარტინი (15), მუტომბო (4); ჯონსონი (9), როჯერსი (6), კოლინზი (6), უილიამსი (3), სკალაბრინი (2), ჰარისი (2)

**დენვერი:** ვიტნი (9), ჰოუზი (5), ბოუენი (6), ჰოვარდი (6), ბლუნტი (6); სატერფილდი (15), ვაიტი (8), ცქიტიშვილი (20 წუთი, 7 ქულა, 4 ჩაჭრა, 2 მოხსნა, 1 დაფარება), ანდერსონი (6), ჰარინგტონი (6), ილარიო (5), ჰარვი

**ნიუ იორკი 94:91 დეტროიტი**

**ნიუ იორკი:** სპრუელი (23), ჰიუსტონი (23)

**დეტროიტი:** ჰამილტონი (31), რობინსონი (19)

**გოლდენ სტეიტი 89:99 კლივლენდი**

**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (26), დანლივი (15)

**კლივლენდი:** ილგაუსკასი (24 ქულა, 12 მოხსნა), ბრენდი (17 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება)

**ატლანტა 117:92 ტორონტო**

**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (27)

**ტორონტო:** პეტერსონი (17), ლენარდი (17), ე. უილიამსი (17)

**სან ანტონიო 104:78 კლივლენდი**

**სან ანტონიო:** დანკანი (25), ჯექსონი (19)

**კლივლენდი:** ილგაუსკასი (25), დევისი (19)

# ბზდელიკს ბავშვები გაუსლახეს

წყალი არ გაუვა, ამ კვირის 10 საუკეთესო ეპიზოდში უცილობლად შევა „ნიუ ჯერსი" — „დენვერის" შეხვედრის ნაწყვეტები, სადაც კალათბურთზე გადარეული ბიჭბუჭობა ნახავს ყველაფერს, რითაც ლამაზია კალათბურთი. ეგაა, „დენვერის" ქომაგები სულაც არ აღფრთოვანდებიან, რაკილა იმ საღამოს კალათბურთმა სწორედ მათი ჯილა „ნაგიტსის" კალათთან გაშალა ფრთები.

„დენვერი" ერთხელაც შერცხვა. ამ სანახაობაში ის იმ მასხარასავით მონაწილეობდა, ვისაც პანღურს ურტყამენ და თავზე ლაფს ასხავენ. იმ თამაშში მათ კალათში უამრავი ბურთი ჩაიტენა — დაკიდებულები, აგდებულები, ფარზე მიგდებულები, ორი ხელით, ცალი ხელით, წაღმა, უკუღმა...

თანამედროვე ნბა-ში არსებობს ძლიერთა და სუსტთა გათანაბრების საკმაოდ დახვეწილი მექანიზმი, რომელიც უსუსურებს ბოლომდე ჩაძირვისგან იფარავს.

„დენვერი" მაინც იძირება, ყოველ თამაშში ლამის გამოწერილი აქვს შერცხვენა. ჯეფ ბზდელიკის შეგირდთა ახალგაზრდული შემართება საქმეს ვერ შველის, ნბა ბავშვთა თავშესაფარი არაა და იჩაგრებიან „დენვერის" ბავშვები.

„ნიუ ჯერსიმ" დასაწყისშივე მიუჩინა ბზდელიკის „შვილებს" ადგილი კუთხეში. ჯეისონ კიდი ციბრუტივით დატრიალდა, ზედიზედ ხუთი სროლა ჩააგდო და საწყისი 12-წუთეული მასპინძლებს 30:15 მოაგებინა. ამ 30-დან 13 ქულა მისი იყო. „ნიუ ჯერსიმ" მეორე მეოთხედშიც განაგრძო ბავშვების გასილაქება და დიდმა შესვენებამ რომ მოაწია, უკვე 26 ქულით იგებდა. „დენვერის" კომშარი არც შემდეგ მეოთხედში შეწყდა. ეგაა, მასპინძლებმა საქმეზე ხელი აიღეს და თამაშზე გადავიდნენ. საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდათ და კარგადაც გაერთნენ. კიდმა ბურთი ფართან დაუკიდა კენიონ მარტინს და ამანაც ცხოველური ღრიალით ჩაუტენა თავჩაქინდრულ სტუმრებს. ნახევარი წუთის შემდეგ კიდმა უკვე რიჩარდ ჯეფერსონს ამგვარადვე უპასა. ერთ შეტევაში ფართან მარტო დარჩენილმა კერი კიტლზმა ბურთი ფარზე მიუგდო კიდს, მან დაიჭირა და თავის მხრივ ჯეფერსონს ამგვარადვე აუგდო... „ნიუ ჯერსი" რასაც მოისურვებდა, ყველაფერს აკეთებდა, „დენვერი" შეტევაში ბურთს კარგავდა და შიუც იწყებოდა.

სტუმრებმა ისლა მოახერხეს, კატასტროფული ანგარიშით არ წააგეს. ბოლო მეოთხედი 31:16 მოუგეს მასპინძლებს, რომელთაც თამაშიც მობეზრებოდათ.

რაც შეეხება „დენვერის" ქართველ ფორვარდ ნიკა ცქიტიშვილს, იმ საღამოს ისიც შერცხვა, მაგრამ არა როგორც ცალკეული მოთამაშე, არამედ, როგორც უბადრუკი გუნდის რიგითი წევრი. და მაინც, რამდენიმე 0-ქულიანი თამაშის შემდეგ მან 7 ქულა მიითვალა, ორჯერ მეტოქის ფარზე მოხსნა ბურთი და, რაც მთავარია, თავისი გუნდის მჩაგვრელ ნიუჯერსელებს ოთხჯერ აწაპნა ბურთი. აქედან ერთხელ თვით ჯეისონ კიდს აართვა. ეს თუ გაჰყვება ნათელ მოგონებად ამ შავბნელი თამაშიდან.

იმ დღის სხვა შეხვედრებში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით „მედისონ სკვერ გარდენში" იქაური ბინადრის „ნიუ იორკ ნიქსისგან" „დეტროიტ პისტონზის" ძლევას. „ნიუ იორკს" დაუბრუნდა შმაგი ლატრელ სპრუელი, ვინც ამას წინათ სასამართლოში უჩივლა მსუქან გაზეთ „ნიუ იორკ პოსტს" და მასზე გავრცელებული ყალბი (სპრიუელის მტკიცებით) ფაქტებისგან მიყენებული მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 40 მილიონი დოლარი მოითხოვა.

სასამართლოებში ნარბენმა სპრუელმა გუშინწინ ფიცარნაგზეც საარაკოდ ირბინა და დაცვაში კარჩაკეტილ „დეტროიტს" 23 ქულა [illegible]თავაზა. ამდენივე გაიღო „ნიუ იორ[illegible]ის" მეორე თანალიდერმა ალან [illegible] და მათი წყალობით „ნიქსმა" 30 ქულით მოიგო პირველი ტაიმი. მაგრამ „დეტროიტი" „დენვერი" არ არის და „ლეუშებსაც" არ წაუგიათ თამაში. [illegible] სირენამდე ნახევარი საათით ადრე [illegible]ნი დუნედ, მაგრამ ჯერ [illegible] დეფიციტის შევსებას და რომ [illegible]ლოდათ, მცირე სასწაულს მოახდენდნენ. ასე კი მხოლოდ სამი ქულით წააგეს.

არცთუ საუკეთესო ფორმაში მყოფ „სან ანტონიო სფურზს" „კლივლენდთან" ორმა თამაშმა ბეწვზე მოუსწრო. კლივლენდში 90:77 გამარჯვების შემდეგ მათ სან ანტონიოში გადმოინაცვლეს და „სფურზმა" აქ უფრო დამაჯერებელი გამარჯვებით გაიმხნევა თავი. „კავალერიამ" ზედიზედ მეშვიდე ბრძოლა დათმო და წყალი შეუყენა მხედართმთავარ ჯონ ლუკასს.

ირაკლი ფირცხვილი



REUTERS ფოტოები

ტორონტოელმა ვოშონ ლენარდმა ატლანტელი დან დიკაუ დაითრია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

მე-9 ტური

# შეაკეთეთ ლოკომოტივი!

ბათუმი. ანგისა
დათვები 60:7 თსუ

ქუთაისი. „დინამო“. 16 ნოემბერი
აია 9:25 ლოკომოტივი

**აია:** ზვიადაძე, ლ. მოდებაძე (ქავთარაძე), ნაჭყებიაძე, ლილუაშვილი (თედორაძე), სულამანიძე, ბრეგაძე, სორდია (მშვილდაძე), მ. გაბუნია, თ. ბალანჩივაძე (ქვარიაშვილი), მოსიძე, ნემსაძე, ქიტიაშვილი (ორმოცაძე), ბუხაიძე (ფრუიძე), ცნობილაძე, მაღლაკელიძე
**3ს:** ზვიადაძე
**ლოკომოტივი:** აბაშიძე, სარიშვილი, გიგაური, ხინჩიკაშვილი, ძიძიაშვილი, ხაჩირაშვილი, სამხარაძე, მაისურაძე, აფაქიძე, ჯოხია, ბერძენიშვილი, ვალიშვილი, გასვიანი, ქაფიანი (კერესელიძე), მაჭუტაძე
**2ლ:** აბაშიძე, **5ს:** ხაჩირაშვილი
**მსაჯი:** ნ. რობიტაშვილი

პლეი ოფამდე ერთი ტურიღა დარჩა და გაირკვა ის სამი გუნდი, ვინც ქვეყნის ჩემპიონობისთვის გააგრძელებს ბრძოლას. ესენი არიან ბათუმის „დათვები“, თბილისის „ლოკომოტივი“ და „დათვები 2“. პლეი ოფის მეოთხე საგზურისთვის „ყოჩები“ და „უნივერსიტეტი“ იბრძვიან. ამათში მეტი შანსი ალბათ „ყოჩებს“ უფრო აქვთ.

მე-9 ტურში ორი მატჩი გაიმართა. ბათუმის „დათვებმა“ „უნივერსიტეტს“ უმასპინძლა და დიდი ანგარიშით დაამარცხა. ზღვისპირელებისთვის ეს იყო ბოლო რეპეტიცია ევროპის რეგიონთა თასის ნახევარფინალის წინ. „დათვები“ საფრანგეთის „პროვინს“ დაუხვდებიან 23 ნოემბერს.

მოიგო თბილისის „ლოკომოტივმაც“. ჩემპიონატის ბოლო ორი გათამაშების გამარჯვებული ნახევარფინალში „დათვებს“ შეუწყვილდება. რკინიგზელებს ახლა ძალიან უჭირთ. ლიდერთა ტრავმიანობას უსახსრობაც თან დაერთო და საკმაოდ დიდი პოტენციის გუნდის არასტაბილურად თამაში დასჩემდა. „ლოკომოტივი“ წლეულსაც ფავორიტებშია, თუმცა პლეი ოფამდე თუ გუნდმა ერთი შეკრება მაინც ვერ გაიარა, საჩემპიონო ტახტის დათმობა მოუწევს.

კარგი იქნება, თუ რკინიგზის დეპარტამენტი მორაგბეებსაც გაიხედავს მოწყალე თვალით და ქართული საკლუბო რაგბის მოწინავეს ახალ სულს შთაბერავს.

**ბაჩო სვანიძე**

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 9 | 9 | 0 | 0 | 18 |
| ლოკომოტივი | 9 | 5 | 1 | 3 | 11 |
| დათვები 2 | 9 | 4 | 1 | 4 | 9 |
| ყოჩები | 9 | 3 | 1 | 5 | 7 |
| უნივერსიტეტი | 9 | 3 | 0 | 6 | 6 |
| აია | 9 | 1 | 1 | 7 | 3 |

## ტესტ-მატჩები

უქმეებზე გამართული ტესტები ისევ უიღბლო გამოდგა სამხრეთნახევარსფეროელი ბობოლებისთვის. სამი ერის ვერც ერთმა წევრმა ვერ მოიგო. ყველაფრის ჩემპიონი ავსტრალია დიდ ჯახში დამარცხდა ინგლისთან, სამხრეთ აფრიკა შოტლანდიასთან შერცხვა, ახალი ზელანდია კი ბოლო წუთზე გადაურჩა ფრანგებთან წაგებას

# ურტყა და ურტყა

## უილკინსონმა ავსტრალიას 45 მეტრიდან მოუქნია



REUTERS ლონდონიდან

ინგლისელმა მაიკ ტინდალმა ავსტრალიელი ჯორჯ გრეგანი დაიკიდა

**საფრანგეთი 20:20 ახალი ზელანდია**
**საფრანგეთი:** 2ლ: მანე, ბრუსკი; 2გ: მიშალაკი; 2ს: მიშალაკი
**ახალი ზელანდია:** 2ლ: მეუვზი, უმაგა; 2გ: მერთენსი; 2ს: მერთენსი

უსამართლობა იქნებოდა, ახალ ზელანდიას წაეგო. სამი ერის წლევანდელმა ჩემპიონმა ბარაქიანად ირაგბა და ორი ლამაზი ლელო გაიტანა. პირველი შერკინების ბურჯ ლი მეუვზისა იყო, მეორე ტომით ტონგელ ტანა უმაგასი.

„ოლ ბლექსი“ სამჯერ იყო უმცირესობაში: მსაჯმა ჯერ ლი მეუვზი გააგდო 10 წუთით, მერე კრისტიან ქალენი და ბოლოს მარკ რობინსონი.

მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრი ახალბედით მოთამაშე „კივები“ მაგრად ეომნენ ბებერი კონტინენტის უპირველეს ნაკრებს. „მამლებს“ ბოლო წუთზე შეეძლოთ მეტოქის დამარცხება, მაგრამ ახალგაზრდა დამრტყმელმა ფრანსუა ჟელეზმა ჯარიმა ააცილა და რაგბიში ერთობ იშვიათი შედეგი — ფრე დააფიქსირა.

ახალზელანდიელთა მწვრთნელმა ჯონ მიტჩელმა ზემოიერიშეთა ტრიო — ჯონა ლომუ, კრისტიან ქალენი და ტანა უმაგა ათამაშა. ქალენი და უმაგა მთელი მატჩი სისხლს უშრობდნენ ფრანგებს. ლომუ კი თავიდან მიუშვეს მეტოქეზე და მანაც ჩვეულად იშლიგინა, მაგრამ მერე დაითრგუნა და ვერც ლელო გაიტანა.

ფრანგებიდან გამოირჩნენ ლევან ცაბაძის მონფერანელი თანაგუნდელი ოლივიე ბრუზე და მცველი ტონი ბრუსკი. „მამლების“ უპირველეს მე-10 ნომერს, ჟაჩალ ჟერალ მერსერონს არ უთამაშია. მის მაგივრად კარში ფრანსუა ჟელეზი ურტყამდა.

**ინგლისი 32:31 ავსტრალია**
**ინგლისი:** 2ლ: კოენი; 2გ: უილკინსონი; 6ს: უილკინსონი
**ავსტრალია:** 3ლ: ფლეტლი (2), სეილორი; 2გ: ბერკი; 4ს: ბერკი

ინგლისმა ძლივს მოუგო ავსტრალიას. მასპინძლები ამას გარემარბ ბენ კოენსა და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო დამრტყმელ ჯონი უილკინსონს უნდა უმადლოდნენ. პირველმა წყვილი ლელო გაუტანა „ვოლაბებს“, მეორემ კი 45 მეტრიდან ბომბა სტუმართა კარი და 8 დარტყმიდან ყველა გაიტანა. ერთხელ თავისი ნახევრიდანაც კი შეაგდო ჯარიმა.

ავსტრალია ბოლო წუთებამდე იგებდა. ფლეტლის წყვილი და ნალიგარი სეილორის სალელოესთან ოზებმა 6:16 ჩამორჩენა აღმოფხვრეს და 28:16 დაწინაურდნენ. ზანგი სეილორის ლელო განსაკუთრებით ლამაზი გამოდგა. ამან თავის ლელოსთან აზლოს ჩაჭრა ბურთი და მთელი მოედანი გადასერა.

მსაჯმა მეორე ტაიმს ბლომად დრო დაამატა. ამ დროში მეტიუ ბერკს გაუცუდდა ჯარიმა.

1999 წლის აქეთ ინგლისის „თვიქნემზე“ წაუგებელია.

**შოტლანდია 21:6 სამხრეთ აფრიკა**
**შოტლანდია:** 2ლ: პაუნტნი, უოლვორკი; 1გ: ლეინი; 3ს: ლეინი
**სამხრეთ აფრიკა:** 2ს: ჯეიმსი

ცუდად არის სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელ რუდი სტრაულის საქმე. „ქურციკთა“ ახალგაზრდა გურუს ექსპერიმენტებმა 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონები ძალიან დააბეჩავა. თავად განსაჯეთ, სამხრეთ აფრიკა ექვსი ერის მაჩანჩალა შოტლანდიასთანაც კი აგებს. თუ ასე გაგრძელდა, სტრაული ალბათ საგაისო მსოფლიოს თასამდე დაემშვიდობება „ქურციკებს“ და თავის გზას ეწევა.

შოტლანდიას სამხრეთ აფრიკა 1969 წლის აქეთ არ დაემარცხებინა.

**უელსი 32:21 კანადა**

უელსმა საკმაოდ იოლად მოუგო კანადას. თუ ვინმე უქმნიდა ბრიტანელებს პრობლემას, ეს კანადელთა დამრტყმელი ჯარედ ბარკერი იყო. მან ექვსი საჯარიმო შეაგდო და თავისიანებს 18 ქულა მოუნაგრა.

ეს მატჩი ბოლო სანაკრებო იყო უელსელთა მორკინალ სკოტ ქვინელისთვის. ვეტერანი ვალმოხდილი დაემშვიდობა სამმოს.

**იტალია 6:36 არგენტინა**
**იტალია:** 2ს: დომინგესი
**არგენტინა:** 5ლ: ორენგო, კორლეტო, მარტინი, ალბანეზე, დიურანი; 4გ: კონტეპომი (2), ფერნანდესი (2); 1ს: კონტეპომი

არგენტინელებმა მიწასთან გაასწორეს იტალიელები. „სკუადრა აძურა“ შინ დაუხვდა „პუმებს“, მაგრამ სამხრეთელებს ორი ჯარიმის მეტი ვერაფერი დასტყუა.

არგენტინელებმა 5 ლელო გაუტანეს მასპინძლებს და ჩაროზად კონტეპომისა და ფერნანდეს-მირანდას გარდასახვა-საჯარიმოები დაუმატეს. იტალიელთაგან ექვსი ქულა ბებერმა დიეგო დომინგესმა მიითვალა. გაიტალიელებული არგენტინელი საცაა სანაკრებო კარიერას საბოლოოდ დაასრულებს. ერთი პირობა წავიდა კიდეც, მაგრამ „აძურას“ ლეგენდარული ახალზელანდიელი მწვრთნელის ჯონ ქირვანის თხოვნით დაუბრუნდა.

**ბაჩო სვანიძე**



REUTERS

ახალზელანდიელმა ზეკაცმა ჯონა ლომუმ ჰაკა დიდი რიხით შეასრულა, მაგრამ ფრანგებთან თამაშში თავი ვერაფრით გამოიჩინა

ძიუდო

# მშიერი საქართველო მედლებით გაძღა

## ახალგაზრდა ძიუდოისტებმა როტერდამი გაძარცვეს

**გასულ უქმეებზე** ახალგაზრდა ევროპელმა ძიუდოისტებმა როტერდამში მოიყარეს თავი. ნიდერლანდების საპორტო ქალაქში, კონტინენტის პირველობის მასპინძლად რომ დაადგინეს ევროპული ძიუდოს მამებმა, ქართველებმა „ურიცხვად“ მოხვეტეს მედლები. 40 მონაწილე ქვეყნის ლურჯ-თეთრ კიმანოებში ნავარჯიშებ ბიჭებს შორის ყველაზე დამშეული ქვეყნის ძიუდოისტებმა ივარგეს. ვერავინ დაგვარწმუნებს იმაში, რომ დანარჩენი 39 ქვეყნის წარმომადგენელთაგან რომელიმე საკუთარი ხარჯებით გამგზავრებულიყოს ტიტების ქვეყანაში, თუნდაც ჩვენსავით დამოუკიდებულობას „ახლადჩაბღაუჭებულნი“. არც ის დაგავიწყდეთ, რომ სხვა ქვეყნების უმეტესობას გოგონათა ამქარიც თან ახლდა.

3 ოქროს, 2 ვერცხლის და ერთიც ბრინჯაოს მედალი გუნდურ პირველ ადგილთან ერთად — ასეთია ჩვენებურთა ჰოლანდიური მონაგარი. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა მხოლოდ 4 ქვეყნის წარმომადგენლებმა შეძლეს. ორი ოქრო უკრაინელთა ანგარიშზეა, თითო-თითო კი ფრანგებს და რუსებს ხვდათ. ვერცხლს და ბრინჯაოს კიდევ 9 ქვეყნის ძიუდოისტი წაეპოტინა.

პირველი მედალი ჩვენს გუნდს ქუთაისელმა რუსლან ჭედენიძემ მოუტანა. 60 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ნაკრების დებიუტანტმა ზედიზედ დაამარცხა ლიტველი, გერმანელი და ესპანელი თანატოლები და მხოლოდ ფინალი დათმო რუს ბლუდნინთან. მომდევნო წონაში (66 კგ) მოჭიდავე ზაზა კედელაშვილიც ვერცხლს დასჯერდა. დელოფლისწყაროელთაგან დასპონსორებული ურიგოდ როდი გარჯილა როტერდამის ტატამზე. ხორვატს, იტალიელს და პოლონელს სუფთად მოუგო და მხოლოდ ფინალში დამარცხდა ქულებით ფრანგ ოუიდ საიდთან.

ყველაზე გამოცდილი ახალგაზრდულ ნაკრებში ყვარელელი დავით ქევხიშვილი იყო. შოთა ხაბარელი მას უკვე ძირითად ნაკრებშიც ენდო. დურუჯისპირელს თავი არც ამჯერად შეურცხვენია. სამი შერკინება წმინდად მოიგო. მეოთხეშიც ბეჭებზე დასცა ფრანგი მეტოქე. ამით კედელაშვილის მძლეველ ფრანგებს ნიშნიც მოუგო და თან ქართველთა ყულაბაში პირველი ოქრო ჩაუშვა.

ბოდაველების დინასტიიდან ჰოლანდიურ ტატამზე 90 კილოიანი მინდია იბრძოდა. ქევხიშვილის დარად მანაც ოთხივე შეხვედრა სუფთად მოიგო და ღირსეულად მოიპოვა ჩემპიონობა. აღსანიშნავია, რომ ბოდაველმა ფინალში რუსი კუბოვი გაამწარა.

100 კგ წონით კატეგორიაში ახმეტელმა გიორგი ყიზილაშვილმა დასაწყისში იუგოსლაველ და რუს მეტოქეებს სძლია. ნახევარფინალში კი რუმინელთან დამარცხდა, სანუგეშო წრეში კი ბოსნიელს შანსი არ დაუტოვა და ქართველთა გუნდს ერთადერთი ბრინჯაო შესძინა.

მესამე ოქრო ნაკრებს ჩემპიონატის ყველაზე ტანმაღალმა მონაწილემ, ზვიად ხანჯალიაშვილმა მოუტანა. გერმანელი, უკრაინელი და პოლონელი მეტოქეების ძლევის შემდეგ ფინალში ისიც ფრანგს გადაეყარა. თელაველმა ჭაბუკმა ოუადეფს გამარჯვების ყველანაირი იმედი გადაუწურა.

ნაკრების მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი მედალს ელოდა გრიგოლ შინჯიკაშვილისგანაც (81 კგ), მაგრამ ესპანეთის ახალგაზრდული თამაშების გამარჯვებულმა პირველივე შერკინების დროს ტრავმა მიიღო და ბრძოლის გაგრძელება ველარ შეძლო.

**ზურაბ ტაბატაძე**

# სეოკ–ის პრესცენტრის განცხადება

თვეზე ოდნავ მეტია, რაც ქართულმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ, მთლიანად ქვეყანამ ქართველ სპორტსმენთა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე იზეიმა. მას შემდეგაა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წინა ფასადს მოქანდაკე, ლევან ვარდოსანიძის მიერ სპეციალურად გაკეთებული მემორიალური დაფა რომ ამშვენებს. 11 ოლიმპიურ რგოლში ქრონოლოგიურად არის ჩამოთვლილი 1952 წლიდან მოყოლებული დღემდე ყველა ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის ვინაობა. იგი საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევდა და იწვევს, ხალხი გულისყურით ეცნობა ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს — ოლიმპიურ ჩემპიონებს. აღნიშნული მემორიალური დაფა ხომ კიდევ ერთი მაჩვენებელია იმ დაფასებისა და პატივისა, რაც ჩვენს ოლიმპიელებს ქვეყნის წინაშე მიუძღვით.

არ ვიცით, რა შეიძლება ვუწოდოთ იმ ფაქტს, რაც დღეს დილით სამსახურში მისულ სეოკ-ის თანამშრომლებს დაგვხვდა. ვილაც ვიგინდარებს ღამით „კარგად" უმუშავიათ და ერთი ოლიმპიური რგოლი ჩამოუგლეჯიათ, რაც სპეციალური ხელსაწყოების გამოყენების გარეშე შეუძლებელია. ვერ გეტყვით, მსგავსი საქციელი რა მიზანს ემსახურებოდა და ამის ჩამდენნი სპილენძს ეძებდნენ თუ ოქროს, მაგრამ ფაქტი ერთია: ეს მხოლოდ ბოროტ, გულღრძო და არაკაც ადამიანს შეეძლო გაეკეთებინა, ვისთვისაც ყველაფერი და, მით უფრო, ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის მდიდარი ტრადიციები სულერთია. ამით პირველ რიგში შეურაცხყოფა იმ ხალხს მიაყენეს, ვინც წლების განმავლობაში უდიდესი შრომისა და ოფლის ფასად ჩვენს ქვეყანას მსოფლიო მასშტაბით სახელი და დიდება მოუტანა.

## ხელბურთი

# გლდანმა შამბერს ვერ შეუბერა

**საფრანგეთის** პროვინციულ ქალაქ შამბერს ხელბურთის ძლიერი გუნდი ჰყავს „შამბერმა" შარშან თავისი ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა და ევროლიგაშიც გაერია, წლეულს კი წარმატებით თამაშობს თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

ფრანგებმა გასულ უქმეებზე საქართველოს წლევანდელი სეზონის მესამე პრიზიორ „გლდანს" უმასპინძლეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, ორმატჩიან სერიაში იოლად სძლიეს — 37:15; 41:13. ჩვენებიდან ყველაზე შედეგიანი იყო ვეტერანი ბექა ორჯონიკიძე, თუმც ორ შეხვედრაში მეტად მწირი, სულ რაღაც 11-გოლიანი მონაგარი. შამბერელთაგან საუკეთესომ, ისლანდიელმა ემერიკ პაილასონმა 15(6+9) ზუსტი ტყორცნა მიითვლა.

ლეგიონერებით დახუნძლული „შამბერი" სხვა 15 გუნდთან ერთად აგრძელებს პრესტიჟული ევროთასისთვის ბრძოლას, რომლის ფინალიც მაისში გაიმართება.

ჩემპიონთა ლიგაში კი ჯერ მხოლოდ ორი ტური შედგა. ფავორიტები დამაჯერებლად მიიწევენ წინ — ერთადერთი მოულოდნელობა „ზაგრების" საშინაო ფრეა. რეიტინგით გაცილებით დაბლა მდგომ რუმინეთის ჩემპიონთან.

**გია ახალაძე**

## ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები

### ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

*A ჯგუფი:* მაგდებურგი (გერმანია) — ვისლა (პოლონეთი) 40:32; ფოტექსი (უნგრეთი) — პანელინიოსი (საბერძნეთი) 19:13

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაგდებურგი | 2 | 0 | 0 | 69:49 | 4 |
| ფოტექსი | 2 | 0 | 0 | 49:38 | 4 |
| ვისლა | 0 | 0 | 2 | 57:70 | 0 |
| პანელინიოსი | 0 | 0 | 2 | 30:48 | 0 |

*B ჯგუფი:* კოლდინგი (დანია) — შახტარი (უკრაინა) 33:23; პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) — პალამანო (იტალია) 31:23

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტლენდი | 2 | 0 | 0 | 61:41 | 4 |
| კოლდინგი | 1 | 0 | 1 | 64:55 | 2 |
| პალამანო | 1 | 0 | 1 | 55:62 | 2 |
| შახტარი | 0 | 0 | 2 | 41:63 | 0 |

*C ჯგუფი:* მონპელიე (საფრანგეთი) — კარვინა (ჩეხეთი) 32:30; პრული (სლოვენია) — ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) 34:28

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პრული | 2 | 0 | 0 | 70:57 | 4 |
| მონპელიე | 2 | 0 | 0 | 63:60 | 4 |
| მედვედი | 0 | 0 | 2 | 58:65 | 0 |
| კარვინა | 0 | 0 | 2 | 59:68 | 0 |

*D ჯგუფი:* კილი (გერმანია) — ვარდარი (მაკედონია) 34:23; ზაგრები (ხორვატია) — ფიბრექსნეილონი (რუმინეთი) 24:24

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კილი | 2 | 0 | 0 | 60:44 | 4 |
| ზაგრები | 1 | 1 | 0 | 52:49 | 3 |
| ფიბრექსი | 0 | 1 | 1 | 45:50 | 1 |
| ვარდარი | 0 | 0 | 2 | 48:62 | 0 |

## ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

# კოვალიოვი ზონაში ჩაიჭრა




მარიო ლემიე ამაოდ დაიხარჯა

18 ნოემბერი

**მონრეალი 5:4 პიტსბურგი ჩ 3:1 0:2 1:0**

**1:0 კოივუ (2), 1:1 ტარნსტრიომი (12), 2:1 კოივუ (21), 2:2 მოროზოვი (27), 3:2 კოივუ (31), 4:2 ბრისბუა (37), 4:3 პრდინა (43), 4:4 ლემიე (52), 5:4 ოდეტი (62)**

„განზბილებული ვარ. ამდენი ოფლი დავღვარეთ და ბოლოს მაინც წავაგეთ" — პიტსბურგის მხცოვანი კაპიტანი მარიო ლემიე უკმაყოფილო იყო, მიუხედავად იმისა, რომ თავად ბრწყინვალედ ითამაშა. ბოლო, უხეირო მატჩების შემდეგ (2 ფრე და 3 წაგება) პიტსბურგი ძალიან ახლოს იყო მოგებასთან. მონრეალი საკუ კოივუს კარიერაში პირველი ჰეთ თრიქის წყალობით 4:2 იგებდა, მაგრამ სუპერმარიომ პარტნიორების დახმარებით ანგარიშის გათანაბრება შეძლო და ძირითადი დროის ბოლოს პიტსბურგს გადამწყვეტი გოლი გაქ რის შანსი მიეცა, მაგრამ...

ოვერტაიმში კი ალექსეი კოვალიოვი თავისსავე ზონაში შეცდა და ეს გუნდს ძვირად დაუჯდა. აღსანიშნავია, რომ ძირითადი დროის რვავე გოლი რიცხვმრავლობაში გავიდა. პიტსბურგმა 4-ჯერ გამოიყენა მეტოქის ჯარიმა, მონრეალმა კი — სამჯერ. ერთიც მასპინძლებმა უმცირესობაში შეაგდეს.

## კვირის მოთამაშე

### ნიკოლაი ხაბიბულინი (ტამპა)



ზედიზედ მეორე კვირაა, ლიგის საუკეთესო მოთამაშედ მეკარე აღიარეს და დამსახურებულადაც. ნიკოლაი ხაბიბულინი, ისევე როგორც წინა კვირის ლაურეატი, ჩიკაგოელი ჟოსლენ ტიბო, ჩემპიონატის დასაწყისიდანვე ჩინებულად თამაშობს. სწორედ მისი დამსახურებაა, გუნდის ბრწყინვალე და მოულოდნელი სტარტი. ამ 7 დღეში კი მეკარემ სამჯერ გაიბრწყინა, რითაც „ელვების" პოზიცია კიდევ უფრო გაამყარა. ხაბიბულინმა 3 თამაშში მხოლოდ 5 გოლი გაუშვა, საუკეთესო კი მისთვის დივიზიონში მთავარ კონკურენტ კაროლინასთან შეხვედრა (2:1) გამოდგა, რომელშიც „ბულინის კედელმა" 35 დარტყმა მოიგერია. 29 წლის ნიკოლაიმ მეორედ დაიმსახურა ეს ტიტული.

**საუკეთესო ექვსეული (11-17 ნოემბერი)**

*ნიკოლაი ხაბიბულინი (ტამპა, 2); მაიკ რატიე (სან ხოსე, 2) — პოლ მარა (ფინიქსი, 1); ტოდ უაიტი (ოტავა, 1) — ბრენდან მორისონი (ვანკუვერი, 1) — პატრიკ მარლო (სან ხოსე, 1)*

### აღმოსავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 17 | 9 | 5 | 0 | 3 | 49:32 | 23 |
| ნიუ ჯერსი | 15 | 10 | 0 | 0 | 5 | 39:29 | 20 |
| პიტსბურგი | 17 | 7 | 3 | 2 | 5 | 53:53 | 19 |
| რეინჯერსი | 20 | 8 | 2 | 0 | 10 | 49:63 | 18 |
| აილენდერსი | 18 | 6 | 1 | 0 | 11 | 43:65 | 13 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 17 | 11 | 3 | 1 | 2 | 61:39 | 26 |
| მონრეალი | 18 | 8 | 4 | 0 | 6 | 50:55 | 20 |
| ოტავა | 15 | 8 | 1 | 0 | 6 | 41:38 | 17 |
| ტორონტო | 18 | 6 | 2 | 0 | 10 | 53:57 | 14 |
| ბუფალო | 17 | 3 | 3 | 0 | 11 | 36:47 | 9 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 18 | 11 | 2 | 1 | 4 | 63:45 | 25 |
| კაროლინა | 18 | 8 | 3 | 3 | 4 | 39:39 | 22 |
| ვაშინგტონი | 18 | 8 | 2 | 0 | 8 | 38:47 | 18 |
| ფლორიდა | 19 | 6 | 3 | 3 | 7 | 43:58 | 18 |
| ატლანტა | 17 | 4 | 1 | 1 | 11 | 43:65 | 10 |

### დასავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 16 | 11 | 1 | 0 | 4 | 58:39 | 23 |
| დეტროიტი | 17 | 10 | 2 | 0 | 5 | 52:39 | 22 |
| ჩიკაგო | 17 | 9 | 3 | 0 | 5 | 43:36 | 21 |
| კოლუმბუსი | 18 | 7 | 2 | 2 | 7 | 54:52 | 18 |
| ნეშვილი | 18 | 2 | 3 | 4 | 9 | 36:56 | 11 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| მინესოტა | 19 | 11 | 3 | 0 | 5 | 54:39 | 25 |
| ვანკუვერი | 18 | 9 | 4 | 0 | 5 | 52:46 | 22 |
| კოლორადო | 19 | 6 | 5 | 3 | 5 | 54:53 | 20 |
| ედმონტონი | 18 | 6 | 3 | 1 | 8 | 47:53 | 16 |
| კალგარი | 18 | 5 | 3 | 3 | 7 | 40:47 | 16 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 20 | 12 | 3 | 1 | 4 | 65:43 | 28 |
| ანაჰაიმი | 19 | 8 | 3 | 2 | 6 | 48:48 | 21 |
| ლოს ანჯელესი | 18 | 8 | 2 | 2 | 6 | 52:51 | 20 |
| ფინიქსი | 19 | 7 | 1 | 1 | 10 | 47:60 | 16 |
| სან ხოსე | 18 | 6 | 1 | 2 | 9 | 53:61 | 15 |

# დაბოლილი ხარ?! არა, ბოლია



სამშობლოს გულისთვის აყლაყუდა მანუტე ბოლმა ჰოკეისტობა გადაწყვიტა

**რას არ** გააკეთებინებს კაცს სამშობლო. აგერ, კიდევ ერთი შავკანიანი ცდის თავის ძალას ჰოკეიში. იტყვით, მერე რა, განა ცოტანი არიან ზანგები ნჰლ-შიო, მაგრამ... ეს ჩვეულებრივი ზანგი არ გეგონოთ, იგი თვით მანუტე ბოლია, ნბა-ს ყოფილი მოთამაშე. თავად წარმოიდგინეთ, რა სანახავი იქნება 231-სანტიმეტრიანი აყლაყუდა ყინულზე, რომელიც სიმაღლით საკალათბურთო მოედანზეც კი გამოირჩეოდა. კალათბურთის მოყვარულთ, ალბათ, კარგად ახსოვთ მისი თამაში. მაღალი, მაგრამ ნაკლებმოძრავი მანუტე ძირითადად ფარქვეშ იდგა მეტოქეთა ტყორცნების დასაფარებლად...

ჰოდა, შაბათს 77-ნომრიანი მაისურით (მისი სიმაღლე ამერიკულ საზომ ერთეულებში 7 ფუტი და 7 დიუმია) „ინდიანაპოლის აისის" (იჰლ-ს გუნდია) რიგებში გამოჩნდა, თუმც მხოლოდ რამდენიმე წამი დაჰყო სათადარიგოთა სკამზე და შემდეგ გასახდელს მიაშურა. მიუხედავად ამისა, იმ თამაშზე არნახულად ბევრი მაყურებელი მივიდა. მას ძალიან აღელვებს თანამემამულე სუდანელიების მდგომარეობა, სპეციალური ფონდიც დაუარსებია. ჰოდა, ამგვარი ხერხით მანუტემ კიდევ რამდენიმე ათასი დოლარი იშოვა. „კარგი იყო. პირველად ვუყურე ჰოკეის ასე ახლოდან და ძალიან მომეწონა. ყინულზე გასვლაში კი ხელი ციგურებმა შემიშალა, ძალიან მიჭერდა" — თქვა ბოლოს ბოლმა.

# კოზლოვმა ჩამშვები გუნდი ჩაუშვა

**გუშინდელ** „სპორტ-ექსპრესში" სენსაციური ინტერვიუ დაიბეჭდა. ჟურნალისტები ატლანტაში მოასპარეზე ვიაჩესლავ კოზლოვს გაესაუბრნენ. მოგეხსენებათ, კოზლოვს დეტროიტში თამაშისას ორჯერ მოუგია თასი, თუმც იქ ლიდერად არ ითვლებოდა და მუდამ თავისი თანამემამულეების — სერგეი ფიოდოროვისა და იგორ ლარიონოვის ჩრდილში იყო.

შარშან მის კარიერაში ღალმართი დაიწყო. ერთი წლის განმავლობაში ბუფალოში თამაშის შემდეგ ვიაჩესლავი აუტსაიდერ ატლანტაში აღმოჩნდა, მაგრამ რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს, ჰოკეისტი ძალიან კმაყოფილია ამით. მისი თქმით, თურმე ბუფალოში აუტანელი ატმოსფერო სუფევდა. კლუბის ღარიბი მესვეურები ძირითადად მწვრთნელთა და ხელმძღვანელთა სურვილებს აკმაყოფილებდნენ, მოთამაშეებს ყველანაირად ავიწროებდნენ ფინანსურად. ესეც არაფერი, მისი სიტყვებით პრივილეგიებს „ჩამშვებებს" ანიჭებდნენ. შედარებით ხელსაყრელ კონტრაქტებს უფორმებდნენ მათ, ვინც პარტნიორის ნათქვამსა თუ ნამოქმედარს მწვრთნელებამდე მიიტანდა. სწორედ ასეთი „მგზავრები" (კოზლოვის გამოთქმაა) ამღვრევდნენ გუნდში წყალს. გარდა ამისა, მას ბუფალოს სათამაშო სტილიც არ მოსწონდა. „ახლა ატლანტაში ყოველი დღე სიამოვნებას მანიჭებს. მსურს ვარჯიში, თამაში, ბიჭებთან ურთიერთობა. კიდევ კარგი, რომ ეს კოშმარი დასრულდა. ბუფალოდან წასვლის შემდეგ მეორედ დავიბადე" — ასე ასრულებს ინტერვიუს რუსი.

ძნელი შესამოწმებელია, რამდენად შეესაბამება კოზლოვის სიტყვები რეალობს, თუმც ფაქტია, რომ დღეისთვის ბუფალო სავალალო მდგომარეობაშია.

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალი ქაბულში



ვინ ჩავიდოდა გაცოცხლებულ ქაბულში თუ არა დიდი მუჰამედ ალი? ლეგენდას ულვაში მოუზრდია და ქაბულში დაბიჯებს. იქაურ ლავაშსაც უსინჯავს გემოს და ქვრივებსაც ესაუბრება. ავღან მოკრივეთათვის კი ალი ნამდვილი ღმერთია, თავად ძველი მოკრივე კი აქ გაეროს მშვიდობის ელჩად გამოჩნდა და ბავშვთა სიდუხჭირისა და შიმშილის დაძლევის საკითხთა გამო ეცდება მსოფლიო საზოგადოების დარაზმვას.









# გათხოვდა

გათხოვილა ბელგიელი ჩოგბურთელი ჟუსტინ ენენი. მისი ქმარიც ჩოგბურთის კაცია, პიერ ივ არდენი. ოცი წლის ჟუსტინი ოთხი წლის წინათ, ერთ საჩოგბურთო კლუბში შეხვედრია პიერ ივს, რომელიც იქ მწვრთნელად მსახურობდა.



# წლის ჯილდოები

მონტე კარლო ხომ სპორტის ზეიმის ადგილია. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამაც წლეულს აქ ჩაატარა წლის მძლეოსანთა დაჯილდოების ცერემონიალი, ამას ფედერაციის 90-წლოვანი იუბილეც დაემთხვა და ზეიმიც ხმაურიანი გამოვიდა. ბრიტი მორბენალი პოლა რედკლიფი და მაროკოელი ასევე მორბენალი ჰიშამ ელ გურუჯი, ცხადია, დაჯილდოვებულთა შორის იყვნენ.





# მონაკოურად

მონტე კარლოში მორიგი სპორტული გართობა გახურებულა, ამჯერად, საჩოგბურთო. სალაღობო ტურნირს „მონტე კარლოს ლეგენდები" ჰქვია და მასში, რა თქმა უნდა, აქტიურად მონაწილეობს მონაკოს უფლისწული ალბერი, რომელიც ერთგვარი გატაცებით შესცქერის ჩოგბურთის ძველი ასის, ანრი ლეკონტის ხელიდან აფარდნილ ჩოგანს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge